ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 23 მაისი, 2023 №99 (9135) ფასი: 80 თეთრი

კახეთის პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

გვ.5



გვ.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკი მკვლელობა და სისხლიანი სასიყვარულო ინტრიგები

„კეზერაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის თაიგული თუ სააკაშვილი?!“

გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია დაეხსნას და მარტო დატოვოს ნაციონალური მოძრაობა, გააკეთოს სხვა გაერთიანება, ხალხს არჩევანის შესაძლებლობა ექნება“

გვ.3

აუდიტის სამსახური: „თავდაცვის სამინისტროში გრიფის მქონე სამართლებრივი აქტის საფუძველზე დარიცხულია 5.1 მლნ ლარამდე დანამატი, რომელიც არ არის სათანადოდ დასაბუთებული“

გვ.2

ანა წითლიძე: „დაჩქარებული ცვლილებები დროში ემთხვევა ოპოზიციიდან, ხუთეულის ხმის მიცემას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის“

როგორია „ყვარლის ტბის“ მფლობელი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა

გვ.3



ირაკლი ღარიბაშვილი კატარის ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას

გვ.2

გვ.4

„ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაიმარჯვებს უკრაინა ამ ომში“

„ლუკაშენკომ პასუხი უნდა აგოს“

გვ.5

მთვრალმა მძღოლმა პოლიციელების მოსატყუებლად საჭესთან ძაღლი დასვა

გვ.5

სექსსათამაშოების გამომცდელებს ათას დოლარს გადაუხდიან

გვ.6

ნანი ჩიქვინიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

5 სისხლიანი დაპირისპირება სოფელ კაბალში

3 რა უნდა გაითვალისწინოთ სატაცურის შეძენისას

5 შხამიანი ჭიაყელების შემოსევა დაიწყო

6 ვის სურს მშვიდობა რუსული სქემით?

1993230720223

„კეზერაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის თაიგული თუ სააკაშვილი?!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია დაეხსნას და მარტო დატოვოს ნაციონალური მოძრაობა, გააკეთოს სხვა გაერთიანება, ხალხს არჩევანის შესაძლებლობა ექნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო ვახტანგ, რამდენად რეალურია სააკაშვილის დიდ პოლიტიკაში დაბრუნება? ნაციონალური მოძრაობის ახალი იდეა, სააკაშვილი 2024 წლის არჩევნებში ჩართონ, როგორც პრემიერობის კანდიდატი, რაში დასჭირდათ?

– სანამ მიხეილ სააკაშვილი დიდ პოლიტიკაში დაბრუნდება, მანამდე უნდა გათავისუფლდეს იქიდან, სადაც დღეს არის. ნაციონალურ მოძრაობას ახალი თემის შემოტანა სრულიად გასაგები მიზეზების გამო დასჭირდა. ყველამ ნახა, რომ დადებული პირობა, ციხიდან გაათავისუფლებდნენ, ჩაიშალა, ვერ ათავისუფლებენ. ამიტომ პიარისთვისაც საჭირო გახდა ახალი თემის შემოტანა. ეს არის და ეს. თამაში სხვა სიბრტყეში გადაიტანეს.

საზოგადოებას ამ საკითხზე ინფორმაცია, რამდენადაც ვიცი, დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა მიაწოდა. თუ ნაციონალური მოძრაობა გაიმარჯვებს და ხელისუფლებაში დაბრუნდება, მაშინ სააკაშვილი ბეჟაშვილს კი არ დაეკითხება, პრემიერი გახდეს თუ არა. გასაგებია, ამისთვის სააკაშვილს სულ რაღაც ორი საათი დასჭირდება, რომ პრემიერი გახდეს, მაგრამ ჯერ არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს ნაციონალურმა მოძრაობამ. ამიტომ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი თამაშის ნაწილია.

– და სააკაშვილიც მზად არის, ამ თამაშის ნაწილი იყოს?

– იქნებ ამ გზით მაინც რამე გამოვიდეს. ან ფიქრობს, რომ პრემიერობის კანდიდატი თუ გახდება, აქტუალობას არ დაკარგავს.

– ბეჟაშვილმა კონსულტაციებიც დააანონსა. გამოდის, სააკაშვილი დათანხმდება?

– არ გამოვრიცხავ, რომ დათანხმდეს. შეიძლება, ეს საინტერესო წინადადებაც კი იყოს სააკაშვილისთვის, რომ ის მთავარი ოპოზიციური პარტიის პრემიერობის კანდიდატია და ციხეშია. შეიძლება, ამით საერთაშორისო ყურადღება უფრო მიიქციოს და ამაზე ააგოს პიარი. ამასაც არ გამოვრიცხავ.

აქ კიდევ ერთი ფაქტორია: შეიძლება, ეს იდეა ემსახურებოდეს იმ სამეულის გადაფარვას, რომელმაც დიდი ვერაფერი ვერ მოუტანა პარტიას. რა თქმა უნდა, კეზერაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის ტრიოს ვგულისხმობ.

– ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, შიდა არჩევნებსა, ხაბეიშვილის თავმჯდომარედ არჩევას ვგულისხმობ, პარტიას ასეთი დაბალი რეიტინგი არ ჰქონია.

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. როგორც ჩანს, ახლა ისევ სააკაშვილი სჭირდებათ, რომ პროცესი როგორმე შეაჩერონ. მიხვდნენ, რომ განვითარებულმა მოვლენებმა ვერაფერი სიკეთე ვერ მოუტანა პარტიას, თან ის კამპანიაც ჩავარდა, რომელიც ხაბეიშვილმა დააანონსა, რომ ის „ვივამედში“ ფიზიკურად შევარდებოდა და სააკაშვილს დაიხსნიდა. ეს იმთავითვე არასერიოზული იყო, მაგრამ, ხომ თქვა, რასაც თავიანთ ამომრჩეველში, მომხრეებში დიდი იმედგაცრუება მოჰყვა.



– ამ განცხადებას ირაკლი კობახიძეც გამოეხმაურა. დაანონსებული კამპანია როგორ იმუშავებს წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებაზე“?

– ზუსტად ისე, როგორც აქამდე მუშაობდა. არაერთი არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ თუ ამ კამპანიით არ მოიგო, სერიოზულად მოაგროვა ხმები. სააკაშვილი დაბრუნდება – ნაცები“ დაბრუნდებიან. „ოცნება“ ეცდება, ისევ ეს თემა წამოსწიოს, მეორე ფრონტის გახსნას დაუკავშიროს და ამაზე ააგოს თავისი კამპანია.

– იმუშავებს?

– როგორც აქამდე მუშაობდა, ისე იმუშავებს. რასაკვირველია, სააკაშვილის პერსონის რეანიმირება და ქართულ პოლიტიკაში ამ სახით მისი დაბრუნება დღეს ყველაზე მეტად აწყობს „ქართულ ოცნებას“. ეს ყველაფერი დღეს ხდება ნაციონალების ხელშეწყობით. რატომ აკეთებენ, ვერ გეტყვით.

– ოპოზიციურ ფლანგზე როგორი გავლენა ექნება?

– ძალიან ცუდი. თუ ამაზე ააგებს „ოცნება“ თავის კამპანიას და ოპოზიცია ისევ შეცდომებს დაუშვებს და არაფერს არ გააკეთებს საიმისოდ, რომ დაეხსნას ნაციონალურ მოძრაობას, მაშინ „ოცნება“ 50 პროცენტზე მეტს მიიღებს და ისევ ერთპიროვნულად თვითონ დააკომპლექტებს მთავრობას.

– და, ეს რომ არ მოხდეს, რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ?

– უნდა დატოვოს მარტო ნაციონალური მოძრაობა, დაეხსნან მათ და გააკეთოს სხვა გაერთიანება, რომელიც, მართალია, ჭრელი იქნება, მაგრამ ხალხს ექნება არჩევანის შესაძლებლობა. ეს ბევრად უფრო მეტ მანდატს მოუტანს ოპოზიციას. თუ უფრო გონივრულად მოიქცევიან და შეცდომებს არ დაუშვებენ, შეიძლება, უკეთესი შედეგიც კი დადონ.

ახლა ყველა უნდა მიხვდეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას ეს სვლა სჭირდება, რათა თავი დააღწიოს იმ ჩიხს, რომელშიც აღმოჩნდა. ვერ გეტყვით, მისი კეზერაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის თაიგული თუ სააკაშვილი, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილს მაინც აქვს მეტი წონა. ის ბევრად უფრო მისაღები ფიგურაა ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლისთვის და ეს უკვე დადასტურებული ფაქტია.

ხონში ცოფის ვირუსი დაფიქსირდა

ხონში ცოფის ვირუსი დაფიქსირდა. მუნიციპალიტეტში ვირუსი შინაურ ცხოველს, ძაღლს დაუდასტურდა.

ინფორმაციას ცხოველთა დაცვის ფედერაციის პრეზიდენტი თემურ ლაჭყეპიანი ავრცელებს.

„დაუდასტურდა, სამწუხაროდ, ცოფის ვირუსი ხონის ცუგას, რომელსაც ადგილზე ხონშივე აკვირდებოდნენ და გუშინ დაიღუპა, აცერით თქვენი ცხოველები ცოფზე“, – წერს ლაჭყეპიანი.

ანა წითლიძე: „დაჩქარებული ცვლილებები დროში ემთხვევა ოპოზიციიდან ხუთეულის ხმის მიცემას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის“

– დაჩქარებული ცვლილებები დროში ემთხვევა ოპოზიციიდან ხუთეულის ხმის მიცემას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ანა წითლიძე, სოციალურ ქსელში წერს, რითაც პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს ინიციატივას, რომლის თანახმად, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული დეპუტატები პოლიტიკური ჯგუფის შექმნას შეძლებენ

ანა წითლიძის განცხადებით, კითხვებს ბადებს ის ფაქტი, რომ „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციის სხვა არცერთი ინიციატივა არ მიუღია დაჩქარებული წესით.

– ჩვენი შეტანილი კანონპროექტები თაროზე აქვთ შემოდებული. სამაგიეროდ, რატომღაც დაჩქარებული წესით შემოიტანეს რეგლამენტში ეს ცვლილებები.

არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ, ეს დაჩქარებული ცვლილებები დროში ემთხვევა ოპოზიციიდან ხუთეულის ხმის მიცემას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის.

აღნიშნული ცვლილებების განხილვა მოთხოვნილია დაჩქარებული წესით, რასაც პარლამენტში ბიურომ მხარი დაუჭირა.

ცვლილებების მიხედვით, პარლამენტის წევრს, რომელიც დატოვებს ფრაქციას და პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიის წევრობას, უფლება ექნება, შექმნას პოლიტიკური ჯგუფი.

პოლიტიკური ჯგუფი შეუძლია შექმნას 2-მა დეპუტატმა, რომლის თვიური დაფინანსებაა 10.890 ლარი.

წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შემდგომ პარლამენტის ის წევრები, რომლებიც დატოვებენ ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, შექმნიან პოლიტიკურ ჯგუფს და მიიღებენ დაფინანსებას. მანამდე ეს არსებული კანონით შეუძლებელი იყო.

რამ აიძულა „ქართული ოცნება“, ეს ცვლილებები დაჩქარებულად მიიღოს? ოპოზიციის რომელი სხვა ინიციატივა მიუღიათ დაჩქარებული წესით, ხომ ვერ შემახსენებთ? მე პასუხი არა მაქვს, – წერს ანა წითლიძე.

ადამ კინზინგერი: „ირაკლი კობახიძე მთლიანად იხსნის ნიღაბს“

– ირაკლი კობახიძე ახლა მთლიანად იხსნის ნიღაბს. ქართველებს არ სურთ, რომ რუსეთის საკუთრება იყვნენ, ირაკლის სურს, – ამის შესახებ ყოფილმა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

კინზინგერი აღნიშნული „ტვიტით“ ირაკლი კობახიძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ სერგეი ლავროვის ოჯახის წევრების ქორწილის მეორე დღის ჩაშლასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქსენოფობიური განცხადებების წაქეზებაში დაადანაშაულა.

ირაკლი ღარიბაშვილი კატარის ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად კატარში გაემგზავრა, სადაც მაღალი დონის ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

– ფორუმი კატარის ემირის პატრონაჟითა და Bloomberg-ის ორგანიზებით იმართება.

ირაკლი ღარიბაშვილი ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ შესაბამის პანელურ დისკუსიაზე სიტყვით გამოვა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრები.

დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მთავრობის მეთაური ხელმძღვანელობს, ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პრიგოჟინი ასახელებს თარიღს, როცა „ვაგნერი“ ბახმუტს დატოვებს

კერძო დაქირავებული სამხედრო ჯგუფის, „ვაგნერის“, ლიდერი, ევგენი პრიგოჟინი, ბახმუტის დატოვების შესახებ კიდევ ერთხელ ალაპარაკდა. როგორც პრიგოჟინი ამბობს, ბახმუტს პირველ ივნისამდე დატოვებენ და ქალაქს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ძალებს ჩააბარებენ.

– „ვაგნერი“ არტემოვსკს (ბახმუტის საბჭოთა სახელი. ავტ.) 25 მაისიდან პირველ ივნისამდე დატოვებს, – ამბობს პრიგოჟინი თელეგრამ-ზე გავრცელებულ აუდიოჩანაწერში. მანამდე პრიგოჟინი ამტკიცებდა, რომ მათ 21 მაისს ბახმუტი სრულიად გაათავისუფლეს, თუმცა უკრაინული მხარე ამ ინფორმაციას უარყოფს და წერს, რომ ისინი კვლავ აკონტროლებენ ქალაქის გარკვეულ ნაწილს და ნელი ტემპით წინ მიიწევენ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დიზაინერი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლუკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

აუდიტის სამსახური: „თავდაცვის სამინისტროში გრიფის მქონე სამართლებრივი აქტის საფუძველზე დარიცხულია 5.1 მლნ ლარამდე დანამატი, რომელიც არ არის სათანადოდ დასაბუთებული



თავდაცვის სამინისტროში გრიფის მქონე სამართლებრივი აქტის საფუძველზე დარიცხულია 5.1 მლნ ლარამდე დანამატი, რომელიც არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ამის შესახებ აუდიტის სამსახურის ანგარიშშია აღნიშნული.

კერძოდ, აუდიტის თანახმად, 2021 წელს დაახლოებით 233 მოსამსახურეზე „საიდუმლო" გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დარიცხულია 5.160.000 ლარამდე დანამატი, მათ შორის 286.672 ლარი დარიცხულია სამინისტროს სსიპ-ების მოსამსახურეებზე. ამასთანავე, აღნიშნული დანამატები არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

– 2021 წელს 160.000 ლარზე მეტი დანამატი დარიცხულია 83 მოსამსახურეზე ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისთვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამსახურეზე წლის განმავლობაში გარკვეული თვეების მიხედვით გაცემულია ერთი და იმავე ოდენობის დანამატი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თვის დანამატის გაცემის შემთხვევაში გამოცემულია მინისტრის ბრძანება, ბრძანებებში სათანადოდ არ არის დასაბუთებული დანამატის გაცემის საფუძველი.

– საჯარო დაწესებულებაში „შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს. რამდენიმე შემთხვევაში სამინისტროს აპარატსა და ჰოსპიტალში არ არის დაცული ზემოაღნიშნული ნორმა.

ხელმძღვანელობის განმარტებით, ჰოსპიტალის შემთხვევაში ზღვრების დაანგარიშება ხდება ელექტრონულ ფაილებში, სადაც ლიმიტების გადამოწმების დროს ადგილი ჰქონდა მექანიკურ შეცდომას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის მატერიალურად არსებითი, საჭიროა შესაბამისი კონტროლის მექანიზმის შემუშავება.

2021 წელს „საიდუმლო" გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დარიცხულია 154.150 ლარის ფულადი ჯილდო. აღნიშნულ ბრძანებებში ფულადი ჯილდოს გაცემის მოტივი და საფუძველი არასათანადოდ არის დასაბუთებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანამატების და ფულადი ჯილდოს გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სათანადო დასაბუთებას, – აღნიშნულია აუდიტის სამსახურის ანგარიშში.

„რუსული მეგა იახტები ქაოტურად მოძრაობდნენ და ეძებდნენ თავშესაფარს"



რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო ამოქმედებული სანქციები, სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, 5-ვარსკვლავიან მცურავ საშუალებებსაც შეეხო.

როგორია ქართულ ბაზარზე მდიდარი რუსების აქტივობა საიახტო სექტორში და არის თუ არა ღია შავი ზღვის ქართული სანაპირო სანქცირებული რუსული იახტებისთვის, რადიო „პალიტრასა" და „პალიტრანიუსის" გადაცემაში „საქმე" „რამზეს იახტს"-ის დამფუძნებელი გიორგი ჩიკვაიძემ ისაუბრა.

– როდესაც დაიწყო რეგიონში ომი, რამდენიმე რუსი დამკვეთისგან ჩვენ გვქონდა კითხვის და თხოვნის ფორმით, რომ იქნებ საქართველოს ოფისმა ჩვენ მოგვყიდოს იახტები, რადგან ვართ სანქცირებულები მსოფლიოს მასშტაბით. ერთი საკითხია, რა იყო მაშინ ამაზე ჩვენი პასუხი და, პირდაპირ გეტყვით, რომ მაშინ ეს ჩვენთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელი იყო და მეორე საკითხია, რომ ჩვენი ევროპული და ამერიკული ოფისებიდან მკაცრად კონტროლდება სადილერო არეალი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ დილერები საქართველოში, თურქეთის გარკვეულ ნაწილსა და აზერბაიჯანში. ამის იქით ჩვენ ახალი იახტის რეალიზების უფლება არ გვაქვს.

რაც შეეხება მეორად იახტებს, მისი რეალიზების უფლება გვაქვს. მეორადის ნაწილში ჩვენ გახსნილი გვაქვს გზა და შეგვიძლია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოპერირება.

აქ არის ერთი მომენტი, ჩვენ ყველას მათ შორის რუსეთის მოქალაქეებს და რუსულ კომპანიებს განვუცხადეთ, რომ ჩვენ ყველას შეგვიძლია მივაწოდოთ იახტები ჩვენს სადილერო ქსელში და აქ დამთავრდება ჩვენი პასუხისმგებლობა. თუმცა, ეს იახტა რომ აღმოჩნდეს რაღაც პერიოდის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე, ამ იახტებს აქვს საგარანტიოები, რომელიც კონტროლდება მთავარი ოფისებისა და მწარმოებლების მიერ და, წარმოიდგინეთ, იახტას შეექმნა პრობლემა და გახდა საჭირო საგარანტიო პირობების ამოქმედება, რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია ვეღარ დაიმალება. აქ უკვე გვექმნება პრობლემა ჩვენც, მწარმოებელსაც და ქარხანასაც მისი მაკონტროლებელი სახელმწიფოსგან. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, უვნებლად გაგვეცალა ეს გზა და ერთპიროვნულად ვთქვით უარი ამ ნაწილზე. ძალიან ბევრი მოთხოვნა შემოვიდა სანქციების გამოცემის დღიდან, მაგალითად, იყო მოთხოვნა დროშის ცვლილებაზე. უნდოდათ ქართული დროშის დაყენება. აქ ჩვენ მაქსიმუმ რაც შეგვიძლია ვუთხრათ არის, რომ მიმართონ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს და მათი გადასაწყვეტია.

რაც შეეხება ჩვენს ნავსადგურებში რუსული იახტების დაყენებას, წარმოუდგენელი ამბავი ხდებოდა, რუსული მეგა იახტები ქაოტურად მოძრაობდნენ და ეძებდნენ თავშესაფარს. საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ 90%-მა თავი მოიყარა თურქეთში, – განაცხადა ჩიკვაიძემ „საქმეში".

ინფორმაციისთვის, კომპანია „რამზეს იახტი" საქართველოში 2017 წლიდან ოპერირებს და დღემდე საქართველოში 19 იახტა გაყიდა. ჩიკვაიძე ამბობს, რომ ამ დრომდე მათ მიერ გაყიდული იახტების ყველა მფლობელი ქართველია.

როგორია „ყვარლის ტბის" მფლობელი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა



სასტუმრო „ყვარელი ლეიკ რეზორთი" ორიოდე დღის წინ სანქცირებულ რუს სტუმრებს მასპინძლობდა, რომელთა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ოჯახის წევრებიც იყვნენ. ჯერ რუსეთიდან პირველი პირდაპირი ავიარეისის შესრულებას, შემდეგ კი ამ ამბავს ქვეყანაში პროტესტი და აქციები მოჰყვა.

როგორც საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ირკვევა, სასტუმრო „ყვარელი ლეიკ რეზორთი" შპს „ყვარელი პალასის" საკუთრებაა. თავის მხრივ, „ყვარელი პალასის" 100%-ს 2009 წელს რეგისტრირებული შპს „აგროგანვითარება" ფლობს, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელი ბიზნესმენი არჩილ გეგენავა და მისი ძმა არიან. წილები ასე ნაწილდება: არჩილ გეგენავა – 37.8%; 23-23% ეკუთვნით ივანე ნიკოლაიშვილსა და გიორგი ჩუბინიშვილს; 16.15% კი ანდრო გეგენავას საკუთრებაა.

რაც შეეხება კომპანიის შემოსავლებს, ფინანსური ანგარიშგებების პორტალ ღეპორტალ-დან ვიგებთ, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ყვარელი პალასის" აქტივები სულ 14.5 მილიონ ლარს შეადგენს.

კომპანიის ანგარიშგების თანახმად, სულ შემოსავალი 2.7 მილიონი ლარია და, წინა წლის 1.7 მილიონ ლართან შედარებით, თითქმის ერთი მილიონითაა გაზრდილი. წინა წელთან შედარებით, გაორმაგებულია მოგებაც და 2021 წლისთვის 1.1 მილიონ ლარს აღწევს.

ხორბლის საერთაშორისო ფასი კვლავ 2-წლიან მინიმუმს უახლოვდება

მარცვლეულის შეთანხმება, რომელიც უკრაინას საშუალებას აძლევს, მოსავალი შავი ზღვის ყველაზე მნიშვნელოვანი პორტებით ექსპორტზე გაიტანოს, კიდევ 2 თვით გახანგრძლივდა.

თურქეთისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლობით შეთანხმება 120 დღით უნდა გახანგრძლივებულიყო, თუმცა მოსკოვი მხოლოდ 60 დღეს დათანხმდა. ნაკლები დროით განახლება კი მოვაჭრეებისა და გემების მფლობელებისთვის ბუნდოვან ჰორიზონტს ქმნის.

მარშრუტი გლობალურად საკვების მიწოდებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გამო შეფერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება გახანგრძლივდა, მისი ეფექტურობა მხარეების დისფუნქციის გამო შეფერხებულია. უკრაინაში ამბობენ, რომ მოსკოვი მიზანმიმართულად ანელებს ექსპორტის ტემპს და ახლა შავი ზღვის სატრანსპორტო კორიდორი თითქმის ცარიელია.

აღსანიშნია, რომ გადაწყვეტილების გასაჯაროებისთანავე ხორბლის ფასმა დაღმასვლა დაიწყო და ამჟამად ჩიკაგოს ხორბლის ფიუჩერსების ფასი 596 აშშ დოლარამდეა, რაც მცირედით აღემატება მიმდინარე წლის 2 მაისს დაფიქსირებულ 2-წლიან მინიმუმს.

ეს ნიშნავს, რომ ხორბლის ფასი 2022 წლის პიკიდან, 1,273 დოლარიდან თითქმის 53%-ითაა გაიაფებული. თურქი და უკრაინელი ოფიციალური პირების ბოლო ინფორმაციით, შეთანხმება, შესაძლოა, კიდევ 2 თვით გახანგრძლივდეს, რაც ფასებზე ასევე აისახება.

ცნობისთვის, 2022 წლის თებერვალში, უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთმა დაბლოკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მარცვლეულის ექსპორტი უკრაინის ძირითადი პორტებიდან, რაც მილიონობით ტონა მარცვლეულს მასზე დამოკიდებულ ბევრ ქვეყანაში ექსპორტის გარეშე ტოვებდა.

ომის გავლენა სურსათის გლობალურ ბაზრებზე უკიდურესად მტკივნეული გამოდგა, რადგან უკრაინას ხორბლის მსოფლიო ბაზრის 10%, სიმინდის ბაზრის 15% და ქერის ბაზრის 13% უკავია.

2022 წლის ივლისში მიღწეულმა შეთანხმებამ კი უკრაინის პორტებიდან მარცვლეულის უსაფრთხო ექსპორტი უზრუნველყო და ექსპორტის განახლების შესაძლებლობა გააჩინა.

ბაღდათში სასწრაფოს მანქანა ხეებს შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა

ავტოსაგზაო შემთხვევა ბაღდათში. სოფელ დიმში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, საავტომობილო გზიდან გადავიდა და ხეებს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

თვითმხილველები ამბობენ, რომ მანქანა დიდი სიჩქარით მოძრაობდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო, სამედიცინო დახმარებისა და პოლიციის ეკიპაჟები.

რა უნდა გაითვალისწინოთ სატაცურის შეძენისას

ბოლო წლების სატაცური სულ უფრო პოპულარული ხდება. პროდუქტის შესახებ ცნობიერების ამაღლების პარალელურად, მოთხოვნა იმდენად მზარდია, რომ ადგილობრივი წარმოება მიწოდებით ვერ აკმაყოფილებს.

„რკ ოზაანი" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში სატაცურს 2015 წელიდან აწარმოებს, თუმცა, ექსპორტზე ამ დრომდე არ გასულა, მიზეზი კი სწორედ ადგილობრივი ბაზრის თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელია.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებლების გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა შეარჩიოს ხარისხიანი სატაცური.

ჯაბა გოგოლაშვილის თქმით, არიან არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები, რომლებიც პროდუქტს გრძელი ღერებით ყიდიან, რაც გამოუსადეგარია.

– ბევრი მწარმოებელი უხარისხო პროდუქციას აწვდის, რაც მოსახლეობამ არ იცის. სატაცურის მსოფლიოში აღიარებული სტანდარტი არის 22-27 სანტიმეტრი, თუმცა ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მწარმოებელი 30-35-სანტიმეტრიან კონებს აკეთებს. კი, შეიძლება, ასეთ პროდუქტში მომხმარებელი იაფს იხდის, მაგრამ ის უხეში ღერები არის გამოუსადეგარი და მოსაჭრელი, შესაბამისად, სინამდვილეში, ხარჯი ბევრად მეტი გამოდის, – ამბობს ჯაბა გოგოლაშვილი.

700-დან 15.000 ლარამდე – რა ღირს თბილისში ტაქსის ლიცენზია

დედაქალაქში A კატეგორიის ლიცენზიის ყიდვა-გაყიდვა და გაქირავება უკვე შესაძლებელია. აღნიშნული სერვისისთვის ინტერნეტ პლატფორმაც გამოჩნდა, სადაც ლიცენზიის გასაყიდი ფასი 15.000 ლარსაც კი აღწევს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 1-ლი აპრილიდან A კატეგორიის ტაქსის ლიცენზია მხოლოდ მასზე გაიცემა, ვინც 2023 წლის 20 მარტამდე, ნებისმიერ პერიოდში ერთხელ მაინც ფლობდა A კატეგორიის ნებართვას. შედეგად, A კატეგორიის ტაქსის მართვის ნებართვა, რომელიც აქამდე ერთწლიანი იყო, უვადო გახდა. ასევე, შეიქმნა A კატეგორიის ტაქსის მართვის ნებართვის ბაზარი, სადაც ნებართვით ვაჭრობა შესაძლებელია.

„ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა, კონკრეტულად, რა ღირს ლიცენზიების შესყიდვა და გაქირავება.

licenzia.ge-ს პლატფორმაზე, ტაქსის ლიცენზიის მინიმალური გასაყიდი ფასი 700 ლარია, მაქსიმალური კი 15.000 ლარს აღწევს.

რაც შეეხება გაქირავებას, აქ ფასები გაქირავების ვადებზეა დამოკიდებული და თვეში საშუალოდ 250 ლარი ღირს.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ვებგვერდზე გასაყიდი ლიცენზიების რაოდენობა 200 ერთეულს აღწევს, გასაქირავებელი კი 300-ს.

ცნობისათვის, A კატეგორია მოიცავს ქალაქში მოძრავ თეთრი ფერის ტაქსებს, რომელთაც აქვთ სპეციალური მანიშნებელი – „ტაქსი თბილისი".

2023, 23 მაისი, №99

„ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაიმარჯვებს უკრაინა ამ ომში"

მარიამ მჭედლიშვილი

„ლუკაშენკომ პასუხი უნდა აგოს"

ბოლო დროს რუსეთის არაერთ ჩავარდნას სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროებში ახლავს პუტინის თანამზრახველ ლუკაშენკოსთან დაკავშირებული გართულება და უხერხულობა. მისი მძიმე მდგომარეობა თვალშისაცემია. ვერსიას ლუკაშენკოს მოწამვლის (ამ ვერსიით, ის მოსკოვში მოწამლეს) შესახებ ანალიტიკოსების ნაწილი არ იზიარებს.

ლუკაშენკოს ოპონენტი, ბელარუსი საზოგადო მოღვაწე ნატალია რადინაც მიიჩნევს, რომ კრემლს თავისი მარიონეტის მოცილება ამჟამად არ სჭირდება. რადინა იმედოვნებს, რომ ლუკაშენკო სასამართლომდე მიაღწევს და პასუხისგებაში მიეცემა იმ დანაშაულებისათვის, რომელიც მან ბელარუსი და უკრაინელი ხალხების წინაშე ჩაიდინა. რადინას უკრაინული მედია ესაუბრა.

ნატალია რადინა:

– ჩვენ ახლა აქტიურად ვასაფლავებთ ლუკაშენკოს. მე ამას მშვიდად ვეკიდები. მას უკვე 28 წელიწადია ვასაფლავებთ. ლუკაშენკო პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. აუცილებელია გადაიდგას ნაბიჯები მისი რეჟიმის დასანგრევად. ლუკაშენკომ პასუხი უნდა აგოს ყველა დანაშაულზე, რომელსაც სჩადის როგორ ბელარუსი, ისე უკრაინელი ხალხის წინაშე. იმედი მაქვს, სასამართლომდე მიატანს.

– როგორ გგონიათ, ლუკაშენკოს გარეგნობა მომავალშიც გადაიღებს რგოლებს მის ძლევამოსილებასა და სიმტკიცეზე?

– რასაკვირველია, ისინი ამას აქტიურად გააგრძელებენ. ახლაც გამოჩნდა ასეთი ვიდეოები და ფოტოები. ისინი ეცდებიან იმის დემონსტრირებას, თითქოს ლუკაშენკო რაღაცას მართავს. სინამდვილეში, ის ვერაფერს მართავს ჯანმრთელობის მდგომარეობით და ასევე იმიტომაც, კრემლის მარიონეტია.

– ბელარუსში იმყოფებოდა სპეკკომისია-ჩავიდნენ რუსი მედიკოსები, რათა შეესწავლათ ლუკაშენკოს მდგომარეობა ან დაზვერვის მიზნით. იქნებ, კრემლმა უკვე აამოქმედა თავისი ვასალის ლიკვიდაციის პროცესი? სავარაუდოდ, ლუკაშენკო სრულად არ ასრულებს პუტინის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა გადააქცია საოკუპაციო არმიის მოედნად?

– თქვენ თვითონვე უპასუხეთ, რომ ლუკაშენკომ გადააქცია ბელარუსი რუსეთის საოკუპაციო არმიის მოედნად. რატომ უნდა მოწამლონ ასეთ სიტუაციაში? ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ. მათაც ესმით, რომ ეს პერსონალისტური დიქტატურაა. თუ ხელისუფლებას ჩამოაშორებენ ლუკაშენკოს და მის ადგილზე დასვამენ, მაგალითად, ვოლფოვიჩს, ამ რეჟიმს მაინც ვერ შეინარჩუნებენ.

აქამდე ბელარუსის ტერიტორია ყველაზე აქტიური ფორმით არაა ამოქმედებული (ომში). ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში ბელარუსის არმია ომში არ ჩაერთვება. ლუკაშენკო აქ არაფერს წყვეტს. მას კრემლის პატრონთან დაპირისპირება არ შეუძლია.

– უშვებთ თუ არა, რომ დიქტატორის ავადმყოფობა შეიძლება სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ინსცენირება იყოს?

– ინსცენირებაშიც ვერ ვხედავ აზრს. ნებისმიერ შემთხვევაში ბელარუსებს ასეთი ცნობები ახარებთ. როგორ უნდა იცხოვრო, რომ მთელი ქვეყანა ვერ გიტანდეს და ყველას შენი სიკვდილი სურდეს!

– რა პროცესები დაიწყება ქვეყანაში, თუ აღარ იქნება ლუკაშენკოს დიქტატურა?

– გააჩნია, როდის მოხდება ეს. თუ ხვალვე განხორციელდება, ვშიშობ, რომ გარკვეულ გარე პროცესებს ვერ შევამჩნევთ. ბელარუსში მკაცრი რეპრესიული რეჟიმია, რომელიც მყისიერად არ დაინგრევა. იქნება სირთულეები. ჩამოშლილია ყველა ჰორიზონტალური კავშირი იმის გამო, რომ ქვეყანაში 3 წელიწადია მიმდინარეობს მასობრივი რეპრესიები, ციხეებში 8 ათასზე მეტი სინდისის პატიმარია, ასობით ათასი ადამიანი გავიდა ქვეყნიდან. მგონია, რომ პროცესები მოგვიანებით დაიწყება და ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაიმარჯვებს უკრაინა ამ ომში.

– ტიხანოვსკაიამ ამ ფონზე ყველას მოუწოდა, მოემზადონ ნებისმიერი სცენარისთვის. როგორი სცენარები შეიძლება იყოს?

– არ ვიცი, რომელ სცენარებზე ლაპარაკობს ტიხანოვსკაია. ტიხანოვსკაიას ოფისისა და პირადად მისი გავლენა ბელარუსში მიზეურულია. დასავლეთის მომავალ რეაქციაზე რაც თქვა, ვეთანხმები.

ლუკაშენკოს წასვლის (ეს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგაა შესაძლებელი) შემთხვევაში მოსკოვი ეცდება, აქტიურად ითამაშოს ბელარუსის ველზე. მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთმა რუსეთს წაუყენოს მკაცრი ულტიმატუმი-თუ ის ეცდება ბელარუსში მარიონეტული ხელისუფლების დასმას, ამას მოჰყვება მკაცრი საერთაშორისო რეაქცია და უფრო მკაცრი სანქციები.

ვისია ბახმუტი?!

ბანდიტური ორგანიზაცია „ვაგნერის" შეფმა პრიგოჟინმა მთელ მსოფლიოს ამცნო: ბახმუტი ავიღეთ! თავის გამოსვლაში მან აღნიშნა:

– ოპერაცია „ბახმუტის ხორცსაკეპი" წარმატებით დასრულდა! ქალაქი გათავისუფლებულია.

დიქტატორმა პუტინმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში ხაზი გაუსვა ბახმუტის აღებას და პრიგოჟინს მადლობა გადაუხადა. პრიგოჟინს ბანი მისცა დონბასელი სეპარატისტების საიტმა „რუსსკაია ვესნამ", სადაც სტატიების მთელი სერია გამოქვეყნდა, რომლებშიც ნათქვამია, რომ არტემიოვსკი (ასე უწოდებენ რუსები ბახმუტს) რუსული სიმამაცისა და ფრონტული ძმობის წყალობით გათავისუფლდა. ჭორი მთელმა რუსულმა მედიამ აიტაცა.

უკრაინის ტელევიზიამ რუსების სიცრუე უმალ ამხილა. „აპოსტროფ ტივიმ" ბახმუტიდან პირდაპირი ტელერეპორტაჟი გადასცა. მასში გარკვევით იყვნენ ნაჩვენები უკრაინელი მებრძოლები, რომლებიც ბახმუტში არიან. ამრიგად, რუსები და პირადად პუტინი (უკვე მერამდენედ!) სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

– მართალს ამბობს ანდაზა: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, – აცხადებს „აპოსტროფ ტივი".

ვლადიმერ ზელენსკიმ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ბახმუტისაგან ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა და ბრძოლაც არა ქალაქისათვის, არამედ ნანგრევებისათვის მიმდინარეობს. ამავე დროს, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინული არმია ქალაქში რჩება.

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა რუსების სიცრუე თავის სატელევიზიო გამოსვლაში ამხილა. მან თქვა, რომ ბახმუტში მძიმე ბრძოლები გრძელდება. უკრაინელი ჯარისკაცები ქალაქის ნაწილს აკონტროლებენ. მეტიც, ბახმუტისაკენ მიმავალი ყველა გზა უკრაინელების ხელშია. ასევე უკრაინელები აკონტროლებენ ყველა სიმაღლეს, რომლებიც ბახმუტის მახლობლად მდებარეობს.

ამრიგად, რუსებმა კვლავ იცრუეს. ისმის კითხვა: რატომ? ამაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ხიროსიმაში დიდი შვიდეულის შეკრება მიმდინარეობს და მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადეს; გააქტიურდა საუბრები უკრაინისათვის ფ-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების გადაცემის შესახებ. ასეთ სიტუაციაში პუტინს ერთგვარი ძალის დემონსტრირება უნდა მოეხდინა, აქაოდა, რუსეთი ძლიერიაო. რუსებმაც ბახმუტისაკენ დიდძალი ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, ქალაქის აღება ვერ შეძლეს და გამოგონილი გამარჯვებებით ფონს გასვლას შეეცადნენ.

უკრაინულმა არმიამ ბახმუტის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეების ნაწილზე კონტროლი დაამყარა. ამან საშუალება მისცა უკრაინელებს, ბახმუტის მახლობლად სტრატეგიული ინიციატივა დაებრუნებინათ. თავად ბახმუტში კი ასეთი მდგომარეობაა: უკრაინული არმია ქალაქში რჩება. ბრძოლა გრძელდება.

ბახმუტის გმირულმა დაცვამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. მას პრეზიდენტი ბაიდენიც გამოეხმაურა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსმა ოკუპანტებმა ომის დაწყებიდან დღემდე ბახმუტთან 100.000-მდე მეომარი დაკარგეს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ბახმუტმა რუსების რეგულარული არმიისა და ფირმა „ვაგნერის" უზარმაზარი ძალები მიიზიდა, ბრძოლებმა კი ბევრი ოკუპანტის სიცოცხლე შეიწირა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანახმაა, უკრაინას ფ-16 ტიპის ავიაგამანადგურებლები გადასცეს. თეთრმა სახლმა ამაში ერთგვარი კორექტივები შეიტანა:

– საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, – აცხადებს თეთრი სახლი.

უკრაინული არმია ბახმუტის გარეუბნებში წინ მიიწევს

ბახმუტისათვის ბრძოლებს უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი გამოეხმაურა. თავის სატელევიზიო ინტერვიუში მან განაცხადა:

– უკრაინული არმია ბახმუტში რჩება! ჩვენი ბიჭები იქ განსაკუთრებულ დავალებას ასრულებენ!

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, უკრაინულმა არმიამ კიდევ 700 მეტრით წაიწია წინ.

განვლილი დღეების განმავლობაში რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები არ მომხდარა. ოკუპანტებმა კვლავ ვერ შეძლეს ავდეევკაში შეჭრა და ვერც „კოტიოლის" მოწყობა მოახერხეს. რაც შეეხება მარინკას, რუსებმა აქაც ვერ შეძლეს წინ წაწევა და მარინკის მიზანმიმართული განადგურება დაიწყეს.

– მარინკაში არ დარჩა არცერთი მთელი სახლი, – იტყობინება „აპოსტროფ ტივი".

ასევე უცვლელია ვითარება უკრაინის სამხრეთში. რუსები აქ კვლავ თავდაცვაზე არიან გადასულნი და ძირითადად უკრაინელთა პოზიციების დაბომბვით იფარგლებიან. ოკუპანტებმა კვლავ დაბომბეს ზაპოროჟიე, ხერსონი და სხვა დასახლებული პუნქტები. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი. დანგრეულია სახლები.

საინტერესო ვითარებაა აზოვის ზღვის სანაპიროზე. უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმა მარიუპოლის აეროპორტზე. შედეგად აეროპორტი მთლიანად მწყობრიდან გამოვიდა. განხორციელდა სარაკეტო დარტყმები ბედიანსკზეც. შედეგად დანგრეულია ოკუპანტების ყაზარმები. რუს ჯარისკაცებს შორის დიდძალი მსხვერპლია.

პარტიზანული აქციები არც დროებით ოკუპირებულ ყირიმის ტერიტორიაზე წყდება. აფეთქებათა სერიები გრძელდება სიმფეროპოლში, ჯანკოიში, სევასტოპოლში და ა.შ.

ამრიგად, რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ვითარება უცვლელია. ოკუპანტებმა ვერ წაიწიეს წინ თვით ყველაზე ცხელ უბნებზე, მარინკასთან და ავდეევკასთან. პასუხად ოკუპანტებმა უკრაინის ტერიტორიის დაბომბვები გააძლიერეს. კვლავ დაიბომბა ქალაქები დნიპრო, ზაპოროჟიე, ხერსონი, ნიკოპოლი და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქართველი ძიუდოისტის, მსოფლიო ჩემპიონის, ლუკა მაისურაძის სახლი გაქურდეს

ქართველი ძიუდოისტის, მსოფლიო ჩემპიონის, ლუკა მაისურაძის სახლი ხაშურში ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს (ქურდობა – ჩადენილი ბინაში უკანონო შელწევით).

ქართველი ძიუდოისტი ლუკა მაისურაძე დოჰაში ერთი კვირის წინ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ ადგილს დაეუფლა. მსოფლიო ჩემპიონობამდე მაისურაძე 2022 წლის ევროპის ჩემპიონია ძიუდოში, ასევე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის ძიუდოსა და სამბოში არაერთი მედლის მფლობელია.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 28 წლის მამაკაცი დაჭრეს

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 28 წლის მამაკაცი დაჭრეს. შემთხვევა სოფელ კაბალში გუშინწინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, ადგილზე დაწყებული კონფლიქტის დროს ელნურ ქასიმოვს თანასოფლელმა ცივი იარაღით სამი ჭრილობა მიაყენა.

დაჭრილი ახალგაზრდა სასწრაფოს დახმარების ჯგუფმა ლაგოდეხის კლინიკაში გადაიყვანა. მას ოპერაცია უკვე ჩაუტარდა.

ექიმის თქმით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

სავარაუდო დამნაშავე დაკავებულია.

ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა

ზესტაფონში ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. პროცესი ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში გაიმართა. მოსამართლემ სრულად გაითვალისწინა პროკურატურის შუამდგომლობა და დაკავებულს პატიმრობა შეუფარდა.

პროკურორის თქმით, საქმეში მტკიცებულებებით დგინდება, რომ დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებს პროსტიტუციას ერთი თვის განმავლობაში აიძულებდა.

დაცვის მხარე გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და, სავარაუდოდ, გაასაჩივრებენ. ადვოკატის თქმით, მათ 10.000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობა დააყენეს, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. მისი თქმით, დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს.

პროკურატურის ინფორმაციით, დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 12-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასტიკი მკვლელობა და სისხლიანი სასიყვარულო ინტრიგები

სასიყვარულო მრავალკუთხედი სასტიკი მკვლელობით დასრულდა. მოკლულია 49 წლის ეკა ჭიაბერაშვილი, რომელიც მეგობარმა მამაკაცმა სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ გაიმეტა, რომ ქალმა სასიყვარულო ურთიერთობა სოციალურ ქსელში გაასაჯაროვა. საზარელ მკვლელობაში ბრალდებული ბეჟან აბულაშვილია, დანაშაულის ადგილი კი ვარკეთილში მდებარე ნაგავსაყრელი. PS-მა გაარკვია, რომ ქალის დასახიჩრებული ცხედარი სწორედ ამ ადგილას ჯართის შემგროვებელმა მამაკაცმა მკვლელობიდან ოთხი დღის შემდეგ იპოვა.

„რუსთავი 2-ის" მიერ მოპოვებული საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბეჟან აბულაშვილმა ეკა ჭიაბერაშვილი მიუვალ ადგილას გაიტყუა, ნაგავსაყრელის სიღრმეში შეიყვანა და განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა. ექსპერტიზით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მსხვერპლს ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ ბასრი საგნით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და ბოლოს, უსიცოცხლოდ მიწაზე დაგდებულ ქალს თავში ბეტონის დიდი ფილა ჩაარტყა. „პოსტსკრიპტუმმა" ექსკლუზიურად მოიპოვა ფარული ვიდეოჩანაწერი, სადაც ბეჟან აბულაშვილი უმძიმესი დანაშაულის დეტალებს ყვება.

– ამომასხა და „რეიკა" იყო რაღაც, უნდა აეღო და დაერტყა... მერე მე დავარტყი, დაიჩოქა... – ამბობს ბეჟან აბულაშვილი.

მკვლელობიდან რამდენიმე წუთში ბეჟან აბულაშვილი მეგობართან რეკავს და სიამაყით ჰყვება იმას, რაც ჩაიდინა. გამოძიების მასალებში მეგობრის ეს ჩვენება დევს.

PS-მა მოიპოვა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი, რომელიც მკვლელობიდან რამდენიმე დღეშია გადაღებული. ბეჟან აბულაშვილი თავისი მსხვერპლის ორ მობილურ ტელეფონს ლომბარდში აბარებს. მას თან ახლავს სხვა მეგობარი ქალი. ლომბარდიდან აღებული ფულით ორივე ბარში გასართობად მიდის.

ქალი, რომელიც PS-ს ინტერვიუზე დათანხმდა, საქმის მთავარი მოწმეა. მას, ისევე, როგორც მოკლულ ეკა ჭიაბერაშვილს, ბრალდებულთან სასიყვარულო ურთიერთობა აკავშირებდა. სწორედ მისი პირადობით დააქირავა ლომბარდი ბეჟან აბულაშვილმა მოკლულის მობილური ტელეფონები. ბრალდებულმა ქალს დანაშაულის შესახებ უამბო და მოკლულის ფოტოც აჩვენა, თუმცა რესპონდენტი გვიყვება, რომ ისტორია არ დაიჯერა, ფოტო კი არარეალური ეგონა.

– მე მეგონა ფოტოშოპი, თორემ ასეთ მდგომარეობაში, არ ვიცი, დღესაც ვერ გამიანალიზებია. ეჭვიც არ შემპარვია... მთლიანობაში იყო „გრუბი" ადამიანი და ეჭვიანობის ნიადაგზე ვუცემივარ... რამდენჯერაც ვუცემივარ, რომ ვეუბნებოდი, მივმართავ პოლიციას-მეთქი, ყოველთვის მეუბნებოდა, გამოვალ და „კასტილებით" გატარებო. მომდევნო მსხვერპლი მე ვიქნებოდი, ალბათ, – ამბობს ქალი.

ეკა ჭიაბერაშვილის და საფლავზე პირველად მას შემდეგ გავიდა, რაც სასტიკ მკვლელობაში ბრალდებული ბეჟან აბულაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო. გვამი იმდენად დაზიანებული იყო, რომ ოჯახს ამოცნობა გაუჭირდა. ნინო ჭიაბერაშვილი ჰყვება, რომ ძმა ლაზ ნამსგრეული ჰქონდა ძვლები თავის, ზურგის და კიდურების არეში.

– მივედი ამოცნობაზე, შეუძლებელი იყო, ადამიანს რომ ვუყურებდი, იმ მომენტში ვერც აღვიქვი რას ვუყურებდი. სახის ძვლები სულ ჩამტვრეულ ჰქონდა. სახლშიც ვერ დავასვენე, იმიტომ რომ სამი საათის განმავლობაში უნდა დაგვესაფლავებინა... ძალიან სასტიკად იყო მოკლული, სურათი ჩემი ცხოვრების მანძილზე თვალებიდან არ ამოვა, – ამბობს ეკა ჭიაბერაშვილის და.

ბრალდებულმა სასამართლოში დუმილის უფლება გამოიყენა. ოჯახი ბეჟან აბულაშვილის უდანაშაულობაში დარწმუნებულია. თუმცა დედა „რუსთავი 2"-თან საუბარში ვერ აკონკრეტებს, თუ სად იმყოფებოდა მკვლელობის დღეს მისი შვილი.

ბრალდებულის ადვოკატი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს არ ეთანხმება, მისი დაცვის ქვეშ მყოფს უდანაშაულოდ მიიჩნევს და განაჩენის გასაჩივრებას გეგმავს. სულხან კომახიძე არ გამორიცხავს, რომ ეკა ჭიაბერაშვილი სხვაგან მოკლეს, გვამი კი მოგვიანებით ნაგავსაყრელზე მიიტანეს. საქმის პროკურორი ამ ვერსიას აბსურდულს უწოდებს 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა პროკურატურის პოზიცია გაიზიარა და ბეჟან აბულაშვილი დამნაშავედ ცნო. მოსამართლემ მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



კახეთში ავტომობილი ხეს შეეჯახა

კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად მძღოლმა და ორმა მგზავრმა სხეულის სხვადასხვა ტიპის დაზიანებები მიიღეს. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალსის" კლინიკაში გადაიყვანა.

ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

კასპში გაჩერებულ მიკროავტობუსს საპირისპირო მხრიდან მომავალი მიკროავტობუსი შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა კასპში – გაჩერებულ მიკროავტობუსს საპირისპირო მხრიდან მომავალი მიკროავტობუსი შეეჯახა. „მთავარ არხს" თვითმხილველებმა განუცხადეს, რომ შემთხვევის შედეგად 8 მგზავრი დაშავდა.

ადგილზე სამართალდამცავები მუშაობდნენ.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო.





გლდანში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხე წაიქცა – დაზიანებულია 2 ავტომობილი

თბილისში, გლდანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხე წაიქცა.

არსებული ინფორმაციით, დაზიანებულია 2 ავტომობილი და ელექტროგადამცემი სადენები.

კახეთის პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, გ.ყ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში წარსულში მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე თანასოფელი – 1991 წელს დაბადებულ თ.მ. სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა. პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ყ. ბრალდებულის სახით ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სისხლიანი დაპირისპირება სოფელ კაბალში

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში ახალგაზრდებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება სუფრასთან დაიწყო.

– სუფრასთან უჩხუბიათ, მერე გარეთ გაუგრძელებიათ. როგორც ვიცი, წარსულში ერთმანეთთან პატარ-პატარა კინკლაობა ჰქონდათ. დანით არის დაჭრილი. მე რომ გამოვედი, სკამზე იჯდა და ცუდად იყო. მაშინვე სასწრაფო გამოვიძახეთ. სკოლის ტერიტორიიდან აქამდე უვლია დაჭრილს, – ამბობს კაბალში მცხოვრები პირი.

28 წლის ახალგაზრდა ამჟამად ლაგოდეხის არქიმედეს კლინიკაში იმყოფება. ექიმების განმარტებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

მთვრალმა მძღოლმა პოლიციელების მოსატყუებლად საჭესთან ძაღლი დასვა

აშშ-ში მანქანის მთვრალმა მძღოლმა გადაწყვიტა, პოლიციელები მოეტყუებინა, რათა დაპატიმრება თავიდან აერიდებინა და ამისთვის ძაღლი, რომელიც მასთან ერთად მგზავრობდა, მანქანის საჭესთან დასვა.

აღნიშნული ინციდენტი კოლორადოს შტატის დასახლება სპრინგფილდში მოხდა. როდესაც პოლიციელებმა საეჭვოდ, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი გააჩერეს, მძღოლი უკიდურესად უცნაურად მოიქცა. მან ძაღლი აიყვანა და სამართალდამცავების თვალწინ საჭესთან დასვა, თავად კი მგზავრის სავარძელში გადაჯდა. მისი თქმით, ის მანქანის გაჩერების დროს საჭესთან არ მჯდარა. როდესაც პოლიციელებმა ალკოჰოლის მოხმარების თაობაზე შეკითხვა დაუსვეს, ის მანქანიდან გადახტა და გაქცევა ცადა, მაგრამ მხოლოდ 15 მეტრის გარბენა შეძლო – დააკავეს.

დაკავებულმა პირმა სამედიცინო შემოწმება საავადმყოფოში გაიარა, რის შემდეგაც ის სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მართვის, სიჩქარის გადაჭარბებასა და დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააპატიმრეს.

ძაღლი დაკავებულის ახლობელს გადაეცა.



შხამიანი ჭიაყელების შემოსევა დაიწყო

ამერიკის ტეხასის შტატში დაიწყო შხამიანი ჭიაყელების შემოსევა, რომლებიც იმ შემთხვევაშიც კი არ იხოცებიან, თუ მათ შუაზე გადაჭრით.

ჭიაყელა-ურო ები, რომლებსაც ასევე ურო თავიან ჭიაყელებსაც უწოდებენ, ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მაისის დასაწყისში გამოჩნდნენ. მათ აქვთ დამახასიათებელი ურო ს ფორმის თავი, გველს წააგვანან და სიგრძეში 40 სანტიმეტრამდე იზრდებიან.

ტეხასის ინვაზიური სახეობების ინსტიტუტი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ურო-ჭიაყელები გამოყოფენ ისეთ მავნე ნივთიერებას, რომელიც თევზ ფუგუს შხამს წააგავს. ისინი ამას, ჩვეულებრივ, მაშინ აკეთებენ, თუ რაიმე საფრთხეს გრძნობენ. ასეთ ჭიაყელასთან შეხებამ, შესაძლოა, კანის გაღიზიანება გამოიწვიოს. ამიტომ მასთან კონტაქტის დამყარება მხოლოდ ხელთათმანის, ჯოხის ან რაიმე დამცავი საშუალების გამოყენებითაა რეკომენდებული. ისინი ასევე სახიფათონი არიან წვრილი ძუძუმწოვარი და შინაური ცხოველებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ეს სახეობა არ არის აბორიგენული. ის ამერიკაში სამხრეთ– აღმოსავლეთ აზიიდან მე-20 საუკუნის დასაწყისში შემოიყვანეს. ისინი თავს კარგად გრძნობენ ცხელ და ნესტიან გარემოში.

სპეციალისტები ურო-ჭიაყელების თავიდან მოსაცილებლად მოსახლეობას ციტრუსების ზეთის ან ძმრის გამოყენებას ურჩევენ.

ქალმა იაფად ნაყიდი პიკასოს თეფშები აუქციონზე გაყიდა



აშშ-ის ქალაქ ნიუ იორკის მკვიდრმა ქალმა მეორადების ბაზრობაზე აღმოაჩინა თეფშები, რომლებიც ცნობილი მხატვრის პაბლო პიკასოს მიერ იყო შექმნილი. ისინი ძალიან იაფად შეიძინა და შემდეგ სოლიდურ ფასად გაყიდა. სამსახურის შემდეგ 36 წლის სიძველების მოყვარულმა ნენსი კავალიერმა ჩვეულებისამებრ მეორადების მაღაზიაში შეიარა. ფაიფურის განყოფილებაში მან ოთხი ცალი თეფში შენიშნა, რომლებიც თითოეული 1,99 დოლარად იყიდებოდა. ქალმა თეფშების უკანა მხარეს მხატვრის მიერ დატოვებული ბეჭედი შენიშნა, რომელზეც მისი გვარი ეწერა. ის იუწყებოდა, რომ თეფშები 1940-იან წლებში პიკასოს მიერ იყო დამზადებული.

– ნანახით გაოგნებული ვიყავი! არ ვიცოდი, რა მეჭირა ხელში, თუმცა მივხვდი, რომ შესაძლოა ისინი ძვირადღირებული ყოფილიყო, – განაცხადა ქალმა.

თეფშების ყიდვის შემდეგ ქალმა ინტერნეტში ინფორმაცია მოიძია პიკასოს მიერ დამზადებულ კერამიკულ ნაწარმზე. როგორც გაირკვა, 1940 და 1971 წლებში მხატვარმა 633 კერამიკული ნაწარმი დაამზადა. კავალიერი ახლოს მდებარე აუქციონის სახლს დაუკავშირდა და თეფშების შესაფასებლად ექსპერტი მიიწვია. სპეციალისტმა მათი ნამდვილობა დაადასტურა და სამიდან ხუთი ათას დოლარამდე შეაფასა. საბოლოოდ ქალმა ოთხიდან სამი თეფში გასაყიდად აუქციონზე გაიტანა და მათში, შესაბამისად 12, 13 და 16 ათასი დოლარი მიიღო.



სექსსათამაშოების გამომცდელებს ათას დოლარს გადაუხდიან

ბრიტანულმა სექსსათამაშოების მწარმოებელმა კომპანია Lovehoney-მ საკუთარი პროდუქციის გამომცდელების ძებნა დაიწყო. ფირმის წარმომადგენლის თქმით, ისინი ფულს გადაუხდიან იმ ადამიანებს, რომლებიც მათ პროდუქციას ტესტირებას ჩაუტარებენ და შემდეგ საკუთარ შთაბეჭდილებებს აღწერენ. ამ თანამდებობის დაკავებას შეძლებენ 18 წელს გადაცილებული ამერიკელები და კანადელები, რომლებსაც სპეციალური მეთოდიკით შეარჩევენ და სულ 10 ადამიანი დასაქმდება.

ერთწლიანი თანამშრომლობის დროს ყოველი მათგანი ათას დოლარს მიიღებს. თვეში ერთხელ ისინი მიიღებენ სექსსათამაშოების ნაკრებს. ასევე მათ ექნებათ პრომოკოდები, რომელთა გაზიარებას მეგობრებთან და ხელმომწერებთან შეძლებენ. გარდა ამისა, მათ საშუალება ექნებათ, გავლენა მოახდინონ ახალი სათამაშოების დიზაინსა და ფუნქციონირებაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვის სურს მშვიდობა რუსული სქემით?

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უკრაინას ცალსახად უცხადებენ მხარდაჭერას. ამავე დროს, არიან ქვეყნები, რომელთაც სურთ მშვიდობა ნებისმიერ ფასად.

– ამ ქვეყნებს რუსეთში ბიზნესი სურთ და სანქციები ხელს უშლით, – აცხადებს რუსეთის დიქტატორის თანაშემწე პესკოვი.

აღნიშნულ ქვეყნებს განეკუთვნებიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანა. ისინი უკრაინაში საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვენ.

– მათი ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ფაქტობრივად, არსებული სტატუსკვოს დაკანონებას ნიშნავს, – ამბობს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

აშკარა პრორუსულ პოზიციებზე დგას უნგრეთი. მისი პრემიერი და მოსკოვის გავლენის აგენტი ორბანი აცხადებს, რომ არ ესმის, რატომ არ შეიძლება, უკრაინა იყოს ნეიტრალური და ფედერაციული ქვეყანა.

– უკრაინა მრავალეროვანი ქვეყანაა! აქ უნიტარული ეროვნული სახელმწიფოს აშენება გამუდმებულ ომებსა და კონფრონტაციას ნიშნავს! – ამტკიცებს ორბანი.

უნგრეთის პრემიერი აცხადებს, რომ უკრაინის ნატოში ჩათრევა ნიშნავს გამუდმებულ ომს. ამას თურმე უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობა შეეწინააღმდეგება და მეორეც, უკრაინის ნატოში შესვლას რუსეთი არ დაუშვებს.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგი იზრდება. მხოლოდ გასული დღის განმავლობაში დაიღუპა 729 რუსი ჯარისკაცი. სულ ომის დაწყებიდან დღემდე რუსების რიგებში შემდეგი მსხვერპლია:

ტანკები – 3.785; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.407; არტილერია – 3.278; თვითმფრინავები – 309;

განადგურებულია 203.880 ოკუპანტი.

მიტინგი კიშინიოვში

კიშინიოვში პროევროპული ძალების მიტინგი გაიმართა. მისი ინიციატორი იყო მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუ.

მიტინგს თავად ევროპარლამენტის თავმჯდომარე დაესწრო.

რამზან კადიროვს დევნის მანია დაეწყო

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული რეჟიმის ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ უკრაინისა და დასავლეთის სპეცსამსახურები თურმე მასზე ნადირობენ:

– ისინი ჩემ წინააღმდეგ ტერაქტს გეგმავენ. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის პატრიოტი ვარ, – თქვა კადიროვმა.

მინისძვრა აშშ-ში

აშშ-ში მიწისძვრა მოხდა. ამის თაობაზე იუწყება რეიტერის სააგენტო. მსხვერპლისა და ნგრევის თაობაზე ინფორმაცია არ არის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსთავმა სერია გაათანაბრა

სუპერლიგის ფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა. რუსთავმა, რომელიც სერიის პირველ მატჩში მთელი შეხვედრა უგებდა თსუ-ს და ბოლო წუთებზე 66:69 დამარცხდა, სტუდენტებს ამჯერად რევანში აუღო. სერიის მეორე მატჩში რუსთაველებმა დამაჯერებელი სხვაობით – 80:67 სძლიეს მეტოქეს და სერია თბილისში თანაბარი ანგარიშით გადაინაცვლებს – 1:1.

ეს მატჩი წინანდელს სცენარით საკმაოდ წაგავდა. რუსთაველებმა თავიდანვე ლიდერობა მოიპოვეს და მთელი შეხვედრა წინ იყვნენ. თსუ ხან ამცირებდა ჩამორჩენას, ხან ანგარიშში სხვაობა 10-ქულიან ზღვარს სცდებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბოლო პერიოდში თსუ-მ თამაში ვეღარ შემოატრიალა. ამის მიზეზი რუსთაველთა დამაჯერებელი, უფრო კი მოტივირებული გარჯა გახლდათ. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ გუნდს სერიის პირველი მატჩი გუშინ ხელიდან გამოეცალა და იგივე შეცდომა ამჯერად აღარ დაუშვა.

სერიის მეორე მატჩში რუსთაველებს მეტი მოტივაცია ჰქონდათ, რადგან კიდევ ერთი წაგების უფლება არ ჰქონდათ. ტაქტიკური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, რუსთავმა უპირატესობა წინა და უკანა სათამაშო რგოლების დამაჯერებელი თამაშის წყალობით მოიპოვა. ფარქვეშ აივერი დიგსი ოპონენტებს სჯობნიდა, რაც როგორც დაცვითი ეფექტურობით, ისე შეტევაში გარჯით გამოიხატებოდა. უკანა რგოლში თსუ-ს გუშინდელი უპირატესობა დაკარგული იყო. გიორგი ცინცაძემ ვერ გაშალა ფრთები, რაც მისი ოპონენტების, ლუკა ბულაშვილისა და რევაზ როგავას სისწრაფის, სწორი დაცვისა და შეტევაში სიზუსტის დამსახურება გახლდათ. რუსთაველებს დიდ დახმარებას უწევდა გუგა პატაშური, რომელიც ფარქვეშ დიგსს ხომ ეხმარებოდა, პერიმეტრზეც ადიოდა და თსუ-ს ფარის დასალაშქრად ნაირგვარ არსენალს იყენებდა. თსუ-ს იმედი შორი სროლები იყო, რაც პერიოდულად მუშაობდა და სწორედ სამქულიანებით მისდევდა ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი მასპინძლებს. ბოლო პერიოდში რუსთაველებმა ტემპი კიდევ უფრო გაზარდეს, დატვაშიც მეტი მობილიზება გამოავლინეს და თსუ-ს კალათბურთელებმა საკვანძო ეპიზოდებში გაცუდებული სროლების გამო თამაშის გადარჩენის შანსი დაკარგეს.

რუსთავის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა აივერი დიგსმა – 24 ქულა და 8 მოხსნა. ლუკა ბულაშვილმა 25 ქულა, 4 მოხსნა და 3-3 ჩაჭრა-პასი მიითვალა. 7-7 ქულა დააგროვეს რევაზ როგავამ და ლევან ბაბილოძემ. თსუ-ში 17 ქულითა და 11 მოხსნით ბექა ბექაური გამოირჩა. 14 ქულა ჯიმონ ჰენსონმა მიითვალა, გიორგი ცინცაძის ანგარიშზე კი 11 ქულა და 11 პასი დაგროვდა.

ფინალური სერიის მე-3 და მე-4 მატჩები 24 და 25 მაისს თბილისი არენაზე გაიმართება.

ბოლონია ნახევარფინალშია, ტენერიფე სეზონს ამთავრებს

ვირტუს ბოლონია, რომლის ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე შენგელიაა, იტალიის სერია ა-ს პირველი ნახევარფინალისტი გახდა. ბოლონიელებმა მეოთხედფინალური სერიის მე-3 მატჩიც მოუგეს ბრინდისის და პოტენციურ მეტოქეთაგან ნახევარფინალში პირველები გავიდნენ.

გადამწყვეტი შეხვედრა ვირტუსმა სტუმრად – 100:95 მოუგო ბრინდისის და თორნიკე შენგელია გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო.

არადა, თორნიკე საქმეში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, მაგრამ მოედანზე 25 წუთი დაჰყო, რა დროშიც 17 ქულა, 9 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 6-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

შედეგად, შენგელიას სარგებლიანობის კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა, რაც ბოლონიელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

თუ ვინ იქნება ვირტუსის მეტოქე იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში, ტრენტოსა და ტორტონას სერიაში ირკვევა, რომელსაც ეს უკანასკნელი 2:1-ს იგებს.

ესპანეთის რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა, 33-ე ტურში გიორგი შერმადინის ტენერიფე სტუმრად უნიკახას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 71:75 დამარცხდა.

საწყისი ორი მეოთხედი გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით მოიგეს (21:13, 13:21), მაგრამ გარდამტეხი მესამე პერიოდი გამოდგა, რომელშიც მალაგელებმა 8-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, ტენერიფემ კი დასკვნით ათწუთეულში ჩამორჩენა ვეღარ აღმოფხვრა.

გიორგი შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ მხოლოდ 15 წუთი ითამაშა. ამ დროში კი ქართველმა ცენტრმა 8 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა. გიორგიმ 3-დან 3 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

აღსანიშნავია, რომ ტენერიფეს რიგებიდან 10-ქულიან ზღვარს ვერავინ გადასცდა. ყველაზე შედეგიანი 9 ქულით ფრან გერა იყო, 8-8 ქულა კი სასუ სალინმა და მარსელინო უერტასმა დააგროვეს.

ტენერიფე 23 მოგებით და 10 წაგებით მე-4 ადგილზეა, რეგულარული სეზონის ბოლო ტურში კი 23 მაისს, სარაგოსას უმასპინძლებს. შემდეგ ფლეი ოფი დაიწყება, რომელშიც ლიგის 8 საუკეთესო გუნდი ითამაშებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საზოგადოება

ნანი ჩიქვინიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

თეატრისა და კინოს მსახიობს ნანი ჩიქვინიძეს მშობლიური მარჯანიშვილის თეატრის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნამდე რეჟისორ ლევან წულაძის სპექტაკლ „თეატრის მსახურის" საპრემიერო ჩვენება გაიმართა. დამსწრე საზოგადოებამ ხელოვანი მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

– ნანი ჩიქვინიძის თავბრუდამხვევი არტისტული თავგადასავალი ბავშვობიდან დაიწყო. მისი, როგორც მსახიობის აღმოჩენა თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის სახელებს უკავშირდება კინოფილმებით: „მაგდანას ლურჯა", „სხვისი შვილები". ნანი ჩიქვინიძე თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პირველი ექსპერიმენტული ვარსკვლავური ჯგუფის წარმომადგენელი გახლავთ, რომელიც მე-11 აუდიტორიაში სამსახიობო ხელოვნების საიდუმლოებას მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით ეზიარა. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებამდე, ჯერ კიდევ სტუდენტმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებში ითამაშა. 1971 წლიდან ნანი ჩიქვინიძე კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობია. ნანი ჩიქვინიძის შემოქმედების ინდივიდუალობა – სცენური მომხიბვლელობა, გულწრფელობა, მეტყველების მელოდიურობა მისი განსაკუთრებული ხელწერის მანიშნებელია. მან გამორჩეული სახეები შექმნა რეჟისორ მედეა კუჭუხიძის სპექტაკლებში: „პრემიერა", „პროვინციული ამბავი", „შეყვარებულთა თვითმკვლელობა – მივუგე და იმ საღამოსვე სახლში ვესტუმრე. კარი დიასახლისმა გამიღო. მისი რეაქციით მივხვდი, რომ ქალბატონი ნანი არ მელოდა, ანუ ბატონ თემურს რაზეც უნდოდა ჩემთან საუბარი, ქალბატონმა ნანიმ არ იცოდა. ვგრძნობდი, რომ რაღაც ძალიან პირადული უნდა ეთქვა ბატონ თემურს ჩემთვის. ისე იქცეოდა, თითქოს უნივერსიტეტიდან რაღაც დამავალეს მასთან გადასაცემად და ამ მიზეზით ვიყავი იქ მისული. მეც ავყევი ამ თამაშში და დაახლოებით ნახევარი საათი რაღაც „გაუგებარზე" ძალიან „საქმიანად" ვმსჯელობდით. რაღაც მომენტში ქალბატონმა ნანიმ ყავა შემომთავაზა და თემურმაც, ჩემს პასუხს არც დალოდებია, ჩვეული იუმორით უთხრა: ნანა, მე მეგონა, უკვე ფინჯნით ხელში შემოხვიდოდიო... ქალბატონმა ნანიმ დაგვტოვა თუ არა, ბატონმა თემურმა ჩემი „გამოძახების" მიზეზი გამანდო – წელს ჩემი ნანის საიუბილეო თარიღია, სიურპრიზად მინდა, მისი ალბომი გამოვცე და იქნებ დამეხმაროო... იცოდა, „წერას რომ ვყავარ ატანილი", თუმცა ჩემთვის სხვა რამ იყო უმნიშვნელოვანესი – ჩემ წინ იდგა ყმაწვილურად აღტყინებული შეყვარებული მამაკაცი, რომელსაც საყვარელი ქალისთვის სიურპრიზის გაკეთება უნდოდა. მე ცოტა გავაწბილე – ქალბატონი ნანის გარეშე ეგ ალბომი ვერ გამოვა, ფოტოები დამჭირდებამეთქი, ძველი წერილები, რეცენზიები... თან იმ პერიოდში თეატრის მუზეუმი რემონტზე იყო და მათი იმედი ვერ გვექნებოდა. ცოტა ყურები ჩამოყარა, თუმცა სიტუაცია მე გავუადვილე – ხომ იცით, ჩემგან არ გაუკვირდება და მე შევთავაზებ, მერე, ოდესმე მოვა დრო და სიმართლეს გავუმხელ-მეთქი. ოღონდ გამოვიდეს ეგ საქმე და, სულ ნუ იტყვი, ჩემი ინიციატივა რომ იყოო. პანდემიამ და ბევრმა სხვა ობიექტურმა მიზეზმა 3 წელი გაჭიმა ამ კრებულის წარდგენის პროცესი, თუმცა დღეს უკვე შეიძლება ამ „საიდუმლოს" გამჟღავნება! ეს ალბომი თქვენი სათაყვანებელი მეუღლის საჩუქარი იყო თქვენთვის, მეუღლის, რომელიც დღეს ალბათ ყველაზე ბედნიერი იქნებოდა. რაღაც გარინდება, რაც სახეზე შეგატყვეთ ვარსკვლავის გახსნის მომენტში და უცებ წამსკდარი ცრემლიც, ასე ვიგრძენი, თემურის მონატრება იყო თქვენთვის ესოდენ ამაღელვებელ წუთებში. თქვენი სიყვარულის ისტორია ხომ არ დასრულებულა, ხომ მუდმივია უკვე. ჰოდა, მას უპირველესად ვულოცავ იმიერში თქვენი ვარსკვლავის გახსნას, თქვენთვის კი მქონდა ბედნიერება, პირადად მომელოცა. უსაყვარლესო და უძვირფასესო დიდო ქალბატონო, თქვენ ეკრანზე პირველი გამოჩენისთანავე ნამდვილი ვარსკვლავი გახდით. დღეს ეს ფორმალობაც დასრულდა და იმ თეატრის წინ, სადაც გაცოცხლდა თქვენი სპინოზა, ეთერი, ისმენე, ხატია, პეპი, კატო, ზიზი, მარგო, ჯენეტი, კოჰარუ, კიტი, რიგანი, ოქტავია, ვალენტინა, ელიზაბეტ პროქტორი, მოლი სუინი, ევრიდიკე, ალოიზი, დროოთეა და, ვინ მოთვლის, რამდენი რამ... საიდანაც დიდხანს გვესაუბრებოდით „სასიყვარულო ბარათებით", აი, იმ ვარსკვლავზე თვალებიდან წამოგორებულმა ცრემლმა კიდევ ერთი ბარათი გააგზავნა. მე კი ემოციურად სიმდის ხმა ჩამესმოდა, თქვენ კი ავანსცენაზე მარჯვენა მხარეს ვენურ სკამზე იჯექით და იწყებდით იმ საოცარ „ხელის გაშლას", რომელიც ჩხეიძის უკვდავი „ჯაყოს" კულმინაციად იქცეოდა. გილოცავთ, „თეატრის ჭეშმარიტო მსახურო"!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შედეგები

21 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერლიგა

ვესტ ჰემი-ლიდსი 3:1
ბრაიტონი-საუთჰემპტონი 3:1
სიტი-ჩელსი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	36	28	4	4	93-31	88
2.არსენალი	37	25	6	6	83-43	81
3.ნიუკასლი	36	19	12	5	67-32	69
4.მანჩესტერი	36	21	6	9	52-41	69
5.ლივერპული	37	19	9	9	71-43	66
6.ბრაიტონი	36	18	7	11	70-50	61
7.ასტონ ვილა	37	17	7	13	49-45	58
8.ტოტენჰემი	37	17	6	14	66-62	57
9.ბრენტფორი	37	14	14	9	57-46	56
10.ფულემი	37	15	7	15	54-51	52
11.კრ.პალასი	37	11	11	15	39-48	44
12.ჩელსი	36	11	10	15	36-42	43
13.ვულვზი	37	11	8	18	31-53	41
14.ვესტ ჰემი	37	11	7	19	41-53	40
15.ბორნმუთი	37	11	6	20	37-70	39
16.ნოტინგემი	37	9	10	18	37-67	37
17.ევერტონი	37	7	12	18	33-57	33
18.ლიდსი	37	7	10	20	47-74	31
19.ლესტერი	36	8	6	22	49-67	30
20.საუთჰემპტონი	37	6	6	25	32-69	24

გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-შტუტგარტი 1:4
აუგსბურგი-დორტმუნდი 0:3
ლევერკუზენი-გლადბახი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	33	22	4	7	81-42	70
2.ბაიერნი	33	20	8	5	90-37	68
3.ლაიფციგი	33	19	6	8	60-39	63
4.უნიონი	33	17	8	8	50-38	59
5.ფრაიბურგი	33	17	8	8	50-42	59
6.ლევერკუზენი	33	14	8	11	57-46	50
7.ვოლფსბურგი	33	13	10	10	56-46	49
8.აინტრახტი	33	12	11	10	56-51	47
9.მაინცი	33	12	9	12	52-53	45
10.კიოლნი	33	10	12	11	48-52	42
11.გლადბახი	33	10	10	13	50-55	40
12.ვერდერი	33	10	6	17	51-63	36
13.ჰოფენჰაიმი	33	10	5	18	47-56	35
14.აუგსბურგი	33	9	7	17	42-61	34
15.შტუტგარტი	33	7	11	15	44-56	32
16.ბოხუმი	33	9	5	19	37-72	32
17.შალკე	33	7	10	16	33-67	31
18.ჰერტა	33	6	8	19	40-68	26

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-კაიზერი 2:0

კარლსრუეს პირველი გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა

ნიურნბერგი-ჰანზა 0:0
ფორტუნა-ჰანოვერი 3:3

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

რაიო-ესპანიოლი 1:2
ატლეტიკო-ოსასუნა 3:0
ვალენსია-რეალი 1:0
სევილია-ბეტისი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	35	27	4	4	65-15	85
2.ატლეტიკო	35	22	6	7	63-27	72
3.რეალი	35	22	5	8	70-33	71
4.სოსიედადი	35	19	8	8	47-32	65
5.ვილიარეალი	35	18	6	11	54-36	60
6.ბეტისი	35	16	8	11	43-38	56
7.ბილბაო	35	14	8	13	46-39	50
8.ხირონა	35	13	9	13	55-50	48
9.სევილია	35	13	9	13	44-49	48
10.ოსასუნა	35	13	8	14	32-39	47
11.რაიო	35	12	10	13	42-47	46
12.მალიორკა	35	12	8	15	33-40	44
13.ვალენსია	35	11	7	17	39-41	40
14.ალმერია	35	11	6	18	46-61	39
15.სელტა	35	10	9	16	40-50	39
16.კადისი	35	9	11	15	28-50	38
17.ვალიადოლიდი	35	10	5	20	30-62	35
18.ხეტაფე	35	8	11	16	31-44	35
19.ესპანიოლი	35	8	10	17	44-61	34
20.ელჩე	35	4	8	23	27-65	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ოვიედო-რასინგი 1:0
ლეგანესი-ანდორა 1:1

იტალია. სერია ა

ლეჩე-სპეცია 0:0
ტორინო-ფიორენტინა 1:1
ნაპოლი-ინტერი 3:1
უდინეზე-ლაციო 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	36	27	5	4	73-26	86
2.იუვენტუსი	35	21	6	8	54-28	69
3.ლაციო	36	20	8	8	55-28	68
4.ინტერი	36	21	3	12	67-40	66
5.მილანი	36	18	10	8	60-42	64
6.ატალანტა	36	18	7	11	59-43	61
7.რომა	35	17	8	10	45-33	59
8.მონცა	36	14	10	12	46-46	52
9.ფიორენტინა	36	13	11	12	48-41	50
10.ბოლონია	36	13	11	12	48-45	50
11.ტორინო	36	13	11	12	38-40	50
12.უდინეზე	36	11	13	12	45-44	46
13.სასუოლო	36	12	8	16	43-56	43
14.ემპოლი	35	9	12	14	32-45	39
15.სალერნიტანა	35	8	14	13	43-56	38
16.ლეჩე	36	7	12	17	30-43	34
17.სპეცია	36	6	13	17	30-56	31
18.ვერონა	36	7	9	20	29-55	30
19.კრემონეზე	36	4	12	20	32-66	24
20.სამპდორია	36	3	9	24	22-67	18

საფრანგეთი. ლიგა 1

აიაჩო-რენი 0:5
ბრესტი-კლერმონი 2:1
ნიცა-ტულუზა 0:0
რეიმსი-ანჟე 2:2
ტრუა-სტრასბური 1:1
ლორიანი-ლანსი 1:3
ოსერი-პსჟ 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	36	27	3	6	86-36	84
2.ლანსი	36	23	9	4	62-28	77
3.მარსელი	36	22	7	7	66-37	73
4.მონაკო	36	19	8	9	69-54	65
5.ლილი	36	18	9	9	62-42	63
6.რენი	36	19	5	12	65-38	62
7.ლიონი	36	17	8	11	61-44	59
8.კლერმონი	36	15	8	13	40-47	53
9.ნიცა	36	13	13	10	42-34	52
10.ლორიანი	36	14	10	13	50-50	52
11.რეიმსი	36	12	15	9	44-39	51
12.მონპელიე	36	14	5	17	60-58	47
13.ტულუზა	36	12	8	16	48-55	44
14.ბრესტი	36	10	11	15	41-51	41
15.სტრასბური	36	9	12	15	47-58	39
16.ოსერი	36	8	10	18	33-59	34
17.ნანტი	36	6	15	17	35-53	33
18.ტრუა	36	4	11	21	43-78	23
19.აიაჩო	36	6	5	25	22-71	23
20.ანჟე	36	3	6	27	31-79	14

ჰოკეგაღლია. ჰიმეჩა ლიგა

გიმარაესი-ჟილ ვისენტე 1:0
კასა პია-ეშტორილი 2:2
ფერეირა-რიუ ავე 3:1
სპორტინგი-ბენფიკა 2:2

ნიდერლანდები. ეროდივიზიონი

აიაქსი-უტრეხტი 3:1
ვიტესი-გრონინგენი 6:0
იგლზი-ვოლენდამი 3:0
ნაიმეგენი-ალკმაარი 0:3
პსვ-ჰერენვენი 3:3
ვალვაიკი-ტვენტე 0:5
სპარტა-კამბური 4:1
ექსელსიორი-სიტარდი 3:0
ემენი-ფეინლოორდი 1:3

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-ანტვერპენი 2:0
გენკი-სენ ჟილუა 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

უმრანიე-ანკარაგიუჯიუ 1:2
ადანა-ბეშიქთაში 1:4
ანთალია-ბაშაქშეჰირი 0:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

კლაგენფურტი-აუსტრია 1:1
რაპიდი-ლინცერი 1:1
ზალცბურგი-შტურმი 2:1

მოცლანდია. ჰემპიერლიგა

ჰიბერნიანი-რეინჯერსი 1:3

შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-იანგ ბოიზი 0:2
ბაზელი-ლუგანო 1:1
ციურიხი-გრასჰოპერსი 2:1

ჰოლონეთი. ექსტრაკლასა

რადომიაკი-ვიძევი 3:1
ვისლა-ჩენსტოხოვა 1:2

უკრაინა. ჰემპიერლიგა

მეტალისტი 1925-მეტალისტი 2:0
რუხი-ლვოვი 2:0

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-ბრონდბიუ 0:0
კოპენჰაგენი-ორხუსი 4:3
ლუნგბიუ-ოდენსე 0:4
ოლბორგი-მიდტიულანდი 0:2

შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-ვარბერგი 2:1
მალმიო-ჰაკენი 2:2
დიურგარდენი-მიალბი 2:0
გიოტებორგი-ჰამარბი 1:1
სირიუსი-ჰალმშტადი 1:2

სამგლოვიარო განცხადებები

„ახალი თაობა“ სამძიმარს უცხადებს გიგა თურმანიძესა და ნონა ცაბაძეს მამისა და მამამთილის

ჯემალ თურმანიძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ქართველების სუპერუქმეები ევროპაში

ძალიან მაგარი უქმეები ჰქონდათ ქართველ ფეხბურთელებს. გოლები, მოგერიებები, მოგებები...

დავიწყოთ გიორგი მამარდაშვილით, რომელიც ისევ მოექცა ყურადღების ეპიცენტრში -ჩვენებურს ესპანეთის ლა ლიგის ჩემპიონატის 35-ე ტურში სუპერმატჩი ჰქონდა.

ვალენსია შინ მადრიდის რეალს დაუხვდა, 1:0 დაამარცხა და პრიმერა დივიზიონში დარჩენის საკითხი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. ამაში კი, ლომის წვლილი საქართველოს ნაკრების მეკარეს მიუძღვის. თავად ლა ლიგამ მამარდაშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

პირველ ტაიმში მამარდაშვილს საქმე თითქმის არ ჰქონია. კარში ერთადერთხელ დაურტყეს და ისიც სუსტად და ხელებში. ვალენსიამ კი გაიტანა – დიეგო ლოპესმა შეაგდო.

მეორე ტაიმიც მშვიდი ჰქონდა... 90-ე წუთამდე... მხოლოდ როდრიგოს დარტყმული ბურთის კუთხურზე გადაგდება მოუწია... მსაჯმა 10 წუთი დაამატა, ჰქონდა ამის საბაბიც და ვალენსიის კართან ძალიან დაცხა: 91-ე წუთზე მამარდაშვილმა ვალვერდეს საოცარი რეაქციით აუღო; 93-ე წუთზე ქართველმა მეკარემ ტონი კროოსს არ გაატანინა; მატჩის ბოლოს კი პირისპირ გასულ ქარიმ ბენზემა აუღო.

მანამდე მამარდაშვილმა ჩხუბიც მოასწრო – ვინისიუს ჟუნიორს გამოეკიდა და ძლივს დააწყნარეს. თავად ვინისიუსი კი მთელი თამაში ცდილობდა პროვოცირებას და საჩხუბრად იწევდა – ხან მეტოქესთან, ხან მსაჯებთან, ხან ვალენსიის გულშემატკივრებთან. ეტყობა, მამარდაშვილსაც რამე უთხრა...

ჩვენებურმა ყვითელი მიიღო, ვინისიუსმა – წითელი. ბრაზილიელმა მამარდაშვილთან ჩხუბისას ვალენსიას სხვა ფეხბურთელს სახეში ხელი ჩაარტყა.

ვალენსიამ ამ მოგებით 40 ქულა დააგროვა და გასავარდნ ზონას 5 ქულით დაშორდა. სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე ეს კარგი უპირატესობაა, მაგრამ დამშვიდების უფლებას არ იძლევა. მომდევნო ტურში, 25 მაისს, „ღამურები“ მალიორკას ესტუმრებიან.

საფრანგეთის ლიგა 2-ში ქართული გოლები გავიდა. ზურიკო დავითაშვილი სულაც ბორდოს გმირია! ჩვენებურმა საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი მატჩი მოაგებინა.

ჟირონდელებმა 36-ე ტურში ლავალს უმასპინძლეს და 3:0 იმარჯვეს, ჩვენებურმა კი, სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა: უკვე დასაწყისშივე დავითაშვილის მოპოვებული ჯარიმა ორად გაორმაგდა ოქროლად აქცია, მეორე თავად გაიტანა, მესამე კი სტილურ, ბრაზილურ ძალისპასით გაიტანა.

დავითაშვილის გუნდმა 69 ქულა დააგროვა, სატურნირო ცხრილის ლიდერ ლე ავრთან სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა, მდევარ მეცთან კი უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა.

იმ მეცთან, რომელმაც სტუმრად გენგამს ვერ მოუგო. არადა, პირველ ტაიმში გიორგი მიქაუტაძემ მეცი დააწინაურა, მაგრამ გუნდმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მხოლოდ ფრეს გამორჩა – 1:1.

მიქაუტაძემ სეზონში 23-ე გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავას ლიდერობს. ჩვენებურს უახლოესი კონკურენტი 5 გოლით ჩამორჩება. ქართველ ფორვარდს 8 საგოლე პასიც აქვს და ამ მაჩვენებლით მეორეა.

ბორდოს კი ჩემპიონატის დასრულებამდე ჩასატარებელი ორი თამაში რჩება – 26 მაისს სტუმრად ანესს ეთამაშება, სეზონს კი 2 ივნისს, როდეზთან საშინაო შეხვედრით დაასრულებს.

მომდევნო ტურში ორივე გუნდი სტუმრად ითამაშებს: 26 მაისს მეცი სოშოს ესტუმრება, ბორდო – ანსის.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის 33-ე ტურში კარლსრუემ კაიზერსლაუტერნი 2:0 დაამარცხა და ბუდუ ზივზივაძემ სადებიუტო გერმანული გოლიც გაიტანა.

ქართველი ფეხბურთელი თამაშში 70-ე წუთზე ჩაერთო და 20 წამში, ბურთთან პირველივე შეხებით ანგარიში გახსნა. მან მეტოქის კარი ახლო მანძილიდან დალაშქრა. თავდაპირველად ბუდუს გოლი თამაშგარეს გამო გაუუქმეს, მაგრამ ვარ-ზე გადამონმების შემდეგ გაირკვა, რომ ზივზივაძემ გოლი წესების დაცვით შეაგდო. კარლსრუე 45 ქულით მეშვიდე ადგილზეა, სეზონის ბოლო მატჩს კი, 28 მაისს ზანკტ პაულისთან სტუმრად გამართავს.

პოლონეთის ექსტრაკლასაში გაიტანა ზაგლებიეს ქართველმა შემტევმა თორნიკე გაფრინდაშვილმა. ზაგლებიემ საშინაო მატჩში სტალი 2:0 დაამარცხა, ანგარიში კი 33-ე წუთზე სწორედ ჩვენებურმა გახსნა – მეტოქის საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ახლო მანძილიდან ბურთი კარში გადაგზავნა.

ეს გაფრინდაშვილის მეორე პოლონური გოლია. პირველი მან სადებიუტო მატჩშივე გაიტანა, რის შემდეგაც არასტაბილური პერიოდი ჰქონდა.

ექსტრაკლასას დასრულებამდე 2 ტურით ადრე ზაგლებიე უმოტივაციოდ არის და სეზონის ბოლოს ცხრილის შუა ნაწილში იქნება.

ბასილაშვილი ისევ აგებს

ნიკოლოზ ბასილაშვილი საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაერთო და პირველივე მატჩი წააგო. 31 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა 21 წლის იტალიელ ჯულიო ძეპპიერისთან ორ სეტში მარტივად დამთმო – 4:6; 1:6. არადა, ნიკამ მეტოქეს პირველივე ჩაწოდება წაართვა, მაგრამ თავად ორი დამთმო და სეტი 4:6 წააგო. მე-2 სეტში ბრძოლა საერთოდ არ შედგა – 1:6. ეს ბასილაშვილისთვის ზედიზედ მე-8 მარცხია. როლან გაროსის წინ ჩვენებურმა 44 პოზიცია დაკარგა და 217-ე საფეხურზე იმყოფება, ახლა რეიტინგში კიდევ უფრო დაქვეითდება. გასულ წელს ბასილაშვილი ძირითად ბადეში იყო და მეორე ეტაპზე გამოვარდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცს, რომელიც შხაპს იღებდა, ნიანგი მიეპარა და თავს დაესხა



იამაიკის ქალაქ კინგსტონის მცხოვრებს ნიანგი თავს იმ დროს დაესხა, როდესაც მდინარის პირას გამავალი წყალსაქაჩი მილის მახლობლად შხაპს იღებდა.

მძიმე სამუშაო დღის შემდეგ 20 წლის მამაკაცმა, სახელად რიჩარდმა, გადაწყვიტა, წყალსაქაჩ მილთან შხაპი მიეღო. სანამ ის ბანაობდა, ნიანგი მიეპარა და მის მდინარის სიღრმეში ჩათრევას შეეცადა. მამაკაცმა რეპტილიის მოგერიება შეძლო და მხოლოდ მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

– მდინარისკენ ზურგით ვიდექი და უცბად ვიგრძენი, რომ ვიღაც ფეხზე მექაჩებოდა. ნიანგმა ფეხში მტაცა პირი. მე შევშინდი, ფეხი გავიქნიე და მისი მოშორება შევძელი. ის ისევ მდინარეში ჩავარდა. სავარაუდოდ, ახალგაზრდა ნიანგი იყო, – განაცხადა რიჩარდმა.

რეპტილიის თავდასხმის შემდეგ მამაკაცმა დახმარებისთვის სამედიცინო დაწესებულებას მიმართა, რათა იარების ინფიცირება თავიდან აერიდებინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მხატვრული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 3. დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი როკ-ჯგუფში; 4. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 5. კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური გემზე; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია დედოფლის რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 12. ზღვის პატარა თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 13. გამოჩენილ ადამიანთა საპატიო ტიტული ინდოეთში; 14. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 15. თამაში-გამოცანა; 17. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 19. მარჯნის ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 5. პიესების „სევილიელი დალაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 6. თანამედროვე ქართველი პოეტი; 8. საბჭოთა ჯიპი; 9. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი; 10. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დღი; 11. ამა თუ იმ ადგილის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა, კლიმატი; 13. საინფორმაციო საშუალებათა – გაზეთის, ტელევიზიის, რადიოს საერთო სახელწოდება; 14. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 16. შიგაწვის ძრავის მოძრავი ცილინდრული ნაწილი; 18. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 20. რელიგიური ფერწერის დარგი; 21. ექსპონატის, ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შოტლანდია; 2. პანკისი; 3. მოსადი; 4. დალღა; 5. ასკილი; 11. ტირადა; 12. ნევადა; 14. კალა; 16. ენოთეკა; 17. გაუტამა; 19. ნიქოზია; 21. მახნო; 22. იალტა.

თარაზულად: 6. კოლორადო; 7. სტატუსი; 8. ღალია; 9. საინსი; 10. დელტა; 13. ჟიჟკა; 15. თედიაშვილი; 18. კარდენი; 20. აიდა; 21. მწყერი; 22. მარსელიოზა; 24. მელონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ახტალა; 2. კრეიგი; 3. დარჯაკი; 4. პაოლინი; 5. სოპრანო; 7. ქლიბაძე; 11. კანტე; 12. დისნეი; 13. ბოქაული; 14. ცისკარი; 15. ჩანახი; 17. მახვში; 19. ჭოტი.

თარაზულად: 5. საჩხერე; 6. რემარკა; 8. გოია; 9. ბახში; 10. ალმასი; 11. კოკი; 13. ბერგმანი; 14. ცენტი; 16. ამანი; 18. ალაზა; 20. როიტერი; 21. ხორშაკი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

23 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5376	ევრო — 2.7462
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1586	100 რუსული რუბლი — 3.1730

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამარდაშვილი რეალთან საუკეთესოდ დაასახელეს

ვალენსიამ საკუთარ მოედანზე მადრიდის რეალი დაამარცხა ანგარიშით 1:0 და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მამარდაშვილმა შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა და ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ქართველმა გოლკიპერმა შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა და მან თავისი გუნდი რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა. მატჩის ბოლოს გიორგის ჩხუბიც მოუწია, როდესაც ვინიციუსმა მის თანაგუნდელს დაარტყა და მამარდაშვილი თავის თანაგუნდელს გამოექომაგა. საბოლოოდ ვინიციუსი გააძევეს, ხოლო ვალენსია მე-13 ადგილზე გადავიდა.

ტომას ტუჰელი: „ჩემპიონობის შანსი ისევ გვაქვს“

მიუნხენის ბაიერნმა ლაიპციგთან წაგო, ხოლო ბორუსიამ თავისი მატჩი მოიგო, ამიტომ ბორუსია პირველ ადგილზე გადავიდა. ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუჰელმა თქვა, რომ მის გუნდს მაინც აქვს ჩემპიონობის შანსი, თუმცა ამის გაკეთება რთული იქნება: „ბაიერნმა ბევრი შეცდომა დაუშვა და ამის გამო შეიძლება ტიტულის გარეშე დავრჩეთ, მაგრამ მე ბოლომდე მჯერა წარმატების და ფეხბურთელები ძალებს არ დაიშურებენ“.

სპალეტიმ შესაძლოა ნაპოლი დატოვოს

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ შესაძლოა გუნდი დატოვოს. მას ნაპოლის პრეზიდენტთან მცირე კონფლიქტი აქვს, თუმცა თვითონ სპალეტი ამას უარყოფს. ჯერჯერობით სპალეტის ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია ნაპოლისთან და ის ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს. ნაპოლიმ ბოლო შეხვედრაში ინტერი დაამარცხა 3:1 და ლუჩიანოს გუნდი ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც სეზონის შუა ნაწილში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნუცა ბუზალაძემ „ამერიკის ვარსკვლავის“ ფინალში იმღერა

ქართველმა მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ ამერიკის ვარსკვლავის 25-წლიან ისტორიაში მოახერხა და ერთადერთი უცხოელი კონკურსანტი გახდა, რომელიც შოუს რჩეულთა შორის აღმოჩნდა.

ნუცამ ტოპ-10-შიც დაიმკვიდრა ადგილი და შოუს ფინალშიც მიიღო მონაწილეობა. მან მსოფლიოში ცნობილ პოპმომღერალ კაილი მინოუგთან ერთად დუეტში იმღერა.

„ამერიკის ვარსკვლავის“ გამარჯვებული 18 წლის იამ ტონგი გახდა, რომელმაც გამოჩენისთანავე დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 მაისისათვის

ვერძი – მოულოდნელობებითა და ახალი თავგადასავლებით დატვირთული დღეა. ნუ გარისკავთ. **კურო** – დღეს ქალებს განსაკუთრებით უმართლებთ. მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ფინანსური კეთილდღეობა. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. დიდია მოტყუების ალბათობა. ეცადეთ, თქვენი უნარები სრულყოფილად წარმოაჩინოთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გაქვთ. პირადი მომხიბვლელობა და სითამამე მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. **ლომი** – საეჭვო ნაცნობებთან ურთიერთობას ერიდეთ. ნეგატიური დღეა, თუმცა თქვენი განცდები ამაოა. ყველაფერი მალე გაივლის. **ქალწული** – შორს გამგზავრება დროებით გადადეთ. დაისვენეთ ოჯახურ გარემოში. **სასწორი** – ცდუნებასა და პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. კრიზისულ სიტუაციებში თქვენი საუკეთესო მრჩეველი ცივი გონებაა. **ღრმანაქალი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტისაგან თავი შეიკავეთ. უსიამოვნებებს ფილოსოფიურად მიუდექით. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ მთავარი საქმე აკეთეთ. ენერგია დაზოგეთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – დაკისრებული სამუშაო ყურადღებით შეასრულეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება გაგიჭირდებათ. **მერწყული** – შემოქმედებითი არეალი ფართოვდება. საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეთ. **თევზები** – ყურადღებითა და მშვიდად იყავით. ყოველ წვრილმანს ჩაულრმავდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

პაციენტი მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, მიშველეთ, მინდა, კიდევ ვიცოცხლო! გააკეთეთ რამე...

– ფული გაქვთ?

– არა!

– მაშ რა ჩემ ფეხებად გინდა მასეთი სიცოცხლე?!

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– შეგიძლიათ მიპასუხოთ, ყოველდღე დალევას რა გაიძულებთ?

– არაფერი, უბრალოდ, მოხალისე ვარ.

●●●

ქალი ექიმს ურეკავს და ეკითხება:

– ექიმო, ჩემი ანალიზების პასუხები მზადაა?

– დიახ, ქალბატონო...

– ჩქარა მითხარით, თორემ ლამის მომკლას ცნობისმოყვარეობამ.

– ჰმ, მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ?!

●●●

დილით ადრე პოლიციის განყოფილებაში შიშველი თანამშრომელი მივიდა. მის დანახვაზე ყველამ პირი დააღო. ბოლოს ერთ-ერთი ეკითხება:

– შენ რა, სულ გამოშტერდი?

– იცი, რა იყო? გუშინ ღამით ღამის კლუბში ვიყავი, ვერთობოდი. მუსიკა უკრავდა, ყველა ვცეკვავდით. უცბად შუქი ჩაქრა და ვიღაც მშვიდი ხმით ამბობს: „ახლა კი ყველა გოგონა შიშვლდება“.

– მერე? – კითხულობს თანამშრომელი.

– სინათლე აინთო და მართლაც ყველა გოგონა შიშველი იყო. გაგრძელდა მუსიკა, ცეკვა. კიდევ რამდენიმე წუთი გადის, სინათლე ისევ ჩაქრა და იგივე ხმა ამბობს: „ახლა კი ყველა მამაკაცი შიშვლდება“.

– მერე რა მოხდა?

– სინათლე რომ აინთო, ყველა მამაკაცი შიშველი ვიყავით. გავაგრძელეთ გართობა, ცეკვა. გადის ნახევარი საათი, ისევ ჩაქრა სინათლე და იგივე ხმა ამბობს: „აბა, ახლა კი მამაკაცები მუშაობას შეუდგნენ“.

– მერე?

– ჰოდა, აი, მეც მოვედი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიანა ღურწკაიას ქმარი თვითმფრინავში გარდაიცვალა

მომღერალ დიანა ღურწკაიას ქმარი, 46 წლის პიოტრ კუჩარენკო, თვითმფრინავში გარდაიცვალა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ის თვითმფრინავში ცუდად მაშინ გახდა, როცა კუბიდან მოსკოვში რუსულ დელეგაციასთან ერთად ბრუნდებოდა. თვითმფრინავი მომღერლის მეუღლისთვის დახმარების აღმოსაჩენად დაეშვა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

დიანა ღურწკაიას ქმარი რუსეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე იყო.

გიორგი ჩიტაური მონატრებული მსმენელისთვის იმღერებს

მომღერალ გიორგი ჩიტაურს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დიდი ხანია მსმენელისთვის კონცერტი არ ჩაუტარებია.

29 მაისს გიორგი ჩიტაური მეგობრებთან და ჯგუფ „იბერიასთან“ ერთად მსმენელს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ქართული ცეკვისა და სიმღერის ზეიმზე ეპატიჟება.

„ქართული სული 2023“ – ასე ჰქვია კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას ყველასთვის საყვარელი მომღერლები და მოცეკვავეები მიიღებენ.

ქართული კინოს დღე ბაღდათში აღინიშნა

უკვე 18 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება ქართული კინოს დღე, რომელიც ოფიციალურად 2005 წელს გამოცხადდა, როცა გამოიცა პრეზიდენტის განკარგულება №588. ამ საქმეში დღეს უკვე უხუცეს ქართველ კინომცოდნეს, პროფესორ გოგი დოლიძეს ლომის წილი უდევს. იგი ყოველწლიურად ატარებს საზეიმო შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში: შარშან ქართული კინოს დღე აღნიშნა სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ნინოწმინდაში, წელს – ბაღდათში, გაისად იქნება სამტრედიაში.

ამ შეხვედრებში გოგი დოლიძესთან ერთად მონაწილეობს რომელიმე ცნობილი კინომსახიობი. წელს ეს პატივი წილად ხვდა საქართველოს დამსახურებულ არტისტს გივი ჩუგუაშვილს, რომლის პატივსაცემად ნაჩვენები იქნა ფრაგმენტი ზაზა ურუშაძის სატელევიზიო სერიალიდან „ცხელი ძაღლი“. დიდი წარმატება მოიპოვა ცნობილმა სტუდენტურმა ფილმმა „უნამუსომ“, რომლის ავტორი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, დღეს კი მისი კანცლერი გიორგი ხარებავაა. პროგრამის ძირითადი ფილმი კი კინორეჟისორ ლიანა ელიავას შესანიშნავი ნამუშევარი „ბზიანეთი“ იყო, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფის აღიარებული ოსტატები: იპოლიტე ხვიჩია, ლია ელიავა, თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი...

ღონისძიება, რომლის მხარდამჭერი ბაღდათის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური და მისი ხელმძღვანელობა გახლდათ, ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდა. ქართული კინოს დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სასახლის სალოტბარო სკოლის აღსაზრდელებმა, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის მუსიკოსებმა, რომელთაც შესანიშნავად შეასრულეს ბაღდათის მკვიდრის რევაზ ლაღიძისა და სხვა ქართველი კომპოზიტორების სიმღერები ქართული ფილმებიდან. მუსიკალური ნომრები შეასრულეს ტრიო „აიასმა“, ლევან ჟვანიამ, თეონა ლომსიანიძემ... საღამოს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა კავკასიური იარაღისა და ზარნიშის ოსტატი, ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი თეიმურაზ ჯალაღანია.

ქართული კინოს დღისადმი მიძღვნილ მარათონს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის მეთაური, ცნობილი კინომცოდნე, პროფესორი გოგი დოლიძე უძღვებოდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 3. სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. ძალიან სწრაფი ტემპი მუსიკაში; 11. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავხევსურეთში; 12. საზღვარგარეთის ბანკში გახსნილი ანგარიში; 14. დემონი არაბულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ნაწილაკი; 17. ქალაქი იმერეთში; 19. ძლიერფეთქებადი ნივთიერება; 21. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 22. პურეული მცენარე.

თარაზულად: 6. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 7. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 8. პოპულარული ტანსაცმელი; 9. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 10. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 13. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ამერიკელ ზანგთა სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 20. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი, თავსატეხი; 23. სისხლის წნევის აწევა; 24. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა